ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 7 ოქტომბერი, 2013 №237 (6238) ფასი: 30 თეთრი

1 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
საქართველოს
ისტორია
10 ლარი

„მე არსად მივდივარ, მე მოვდივარ და, მინიმუმ, 20 წელი ვიქნები!“

გვ.5

შსს-მ გამოძალვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა გვ.6

ალეკო შალამბერიძე: „შეგვხვდეს ივანიშვილი ოპოზიციონერებს და ვანახვებთ, როგორია ნამდვილი მიჯრაობა“ გვ.4

უქნარა მილიარდერმა ლუარსაბ თათქარიძესავით დაიწყო ბიჭების დაწიოკება

გელა ნიკოლაიშვილი: „დასავლეთმა ივანიშვილს ნაციონალების დაპატიმრება აუკრძალა“ გვ.2

ნაციონალებმა ცუთჯვრიანი დროშა ოთხგულიან დროშად აქციეს გვ.4

სოსო ცინცაძე: „ნაციონალები რევანშისთვის ემზადებიან“ გვ.4

მეუფე იაკობი: „ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრება დღეს მოდური გახდა“ გვ.4

ნოდარ ნათაძე: „რუსეთი აფხაზეთს უბრძოლველად დათმობს“ გვ.6

თელავში ბურჯანაძის სარეკლამო ბილბორდი დააზიანეს გვ.5

ISSN 1987-9385

4 ესტონეთის პრეზიდენტი საოკუპაციო ხაზზე რუსეთის ქმედებებს გმობს

6 ანდრო ბარნოვი: „არ შეიძლება, მივიღოთ მონაწილეობა იქ, სადაც ოკუპანტი მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრის“

3 მაშველებმა მესტიაში წარმატებული სამაშველო ღონისძიება განახორციელეს

7 „შეგვინარჩუნეთ ამერიკაში ქართული ტაძარი!“

გელა ნიკოლაიშვილი: „დასავლეთმა ივანიშვილს ნაციონალების დაპატიმრება აუკრძალა“

ნონა ცაბაძე

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ნაციონალური მოძრაობა შაბათ საღამოს სპორტის სასახლეში შეიკრიბა და თავის მცირეოდენ მხარდამჭერებს შეახსენა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ბევრმა მათგანმა ამ შეხვედრას უღირსი ადამიანების თავყრილობაც უწოდა. ნაციონალებმა წესჩვეულებას ვერც ამ შემთხვევაში უღალატეს და თავმჯდომარედ კვლავ სააკაშვილი აირჩიეს. საზოგადოებისთვის თვალშისაცემი იყო მათი დროშებიც, ჯვრების ნაცვლად გულები... საინტერესოა, თუ რა დატვირთვა აქვს ოთხ გულს... ბევრს არც ის გამოჰპარვია მხედველობის არიდან, რომ ნაციონალები რატომღაც მაღალ გონორზე იყვნენ და ახალ ხელისუფლებას დანაპირების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდნენ.

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს და მიაჩნია, რომ სწორედ ხელისუფლების უნიათობის ბრალია, ესენი რომ ასეთ მაღალ გონორზე არიან, რადგან დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს და ყველაფერს თავისი სახელი არ დაარქვეს. ადვოკატს მიაჩნია, რომ უნდა მომხდარიყო რეჟიმის გასამართლება — როდესაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა, მოხდებოდა ნაციონალების რეალური სახის ჩვენება დასავლეთიდანაც არ იქნებოდა ასეთი სახის ზეწოლაო, ხოლო რაც შეეხება ნაციონალებს, ადვოკატი მიიჩნევს, რომ რაც არ უნდა ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები აკეთონ, ნაციონალები პოლიტიკურად ვეღარ გაცოცხლდებიან, მათი რეანიმაცია შეუძლებელია.

„ახალი თაობა“ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრება:

— ბატონო გელა, საზოგადოება საკმაოდ გააღიზიანა ნაციონალების გუშინდელმა თავყრილობამ სპორტის სასახლეში. თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა ამ ყველაფერმა? ნამეტანი ხომ არ მოუვიდათ ეს კოჰაბიტაცია?

— მე ვფიქრობ, რომ საზოგადოება მაინცდამაინც შეშფოთებული არ უნდა იყოს ამ ყველაფრით. გაღიზიანება, კი ბატონო, გასაგებია, გაღიზიანებული უნდა იყოს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს შეშფოთების საგანს. არც მათი მომხრეების რაოდენობა უნდა გაგვიკვირდეს. ეს 10-12 ათასი კაცი, რომლებიც სპორტის სასახლეში მთელი საქართველოდან შეკრიბეს, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მერიაში დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, გამგეობაში დასაქმებულთა უმრავლესობა, თუნდაც ყოფილი დასაქმებულები, რომლებმაც დაკარგეს სამსახურები, ეს ყველა მათი კადრია. ისინი მათით სუნთქავდნენ, მათით არსებობდნენ და, ბუნებრივია, მათ მისტირიან და იციან, რომ მათი წასვლის შემდეგ ამ ადამიანებს რაიმე წინსვლის პერსპექტივა არა აქვთ. დანარჩენი ახლა ის, რომ მათ ასეთი გამაღიზიანებელი განცხადებები ჰქონდათ, თითქოს არაფერი მომხდარა, რომ თითქოს ეს არის ჩვეულებრივი პარტია და არა ერთ დანაშაულში მონაწილე, ეს, რა თქმა უნდა, გამაღიზიანებელია, იმიტომ რომ ჩვენმა დღევანდელმა ხელისუფლებამ მათ მისცა იმის საშუალება, რომ ასე ელაპარაკათ, ასე მოქცეულიყვნენ. ხელისუფლებამ არ მიიყვანა ის საქმე ბოლომდე, რაც დაიწყო, შუა გზამდეც კი არ მიუყვანია.

— საქმის ბოლომდე მიყვანაში რას გულისხმობთ?

— მე ვგულისხმობ იმას, რომ ამ რეჟიმის სახე არ უჩვენებია. თუ სახეს არ აჩვენებ, მტკიცებულებებს თუ არ წარადგენ, ბუნებრივია, არც შინაური და მით უმეტეს არც გარეული ამას არ დაიჯერებს. შინაურმა თვითონ საკუთარ ტყავზე გადაიტანა, ამ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას ვგულისხმობ და ეს მათ კარგად იციან. გარეულს იმიტომ ვერ დაანახვეს, რომ ის ათიათასობით ფაილი თუ ფარული ჩანაწერები და ასე შემდეგ, არ გაასაჯაროვეს. მე ადრეც მითქვამს და ისევ გავიმეორებ, საჭირო იყო და დღესაც არის აუცილებელი ამ ფაილების ჩვენება. რა თქმა უნდა, დაფარული სახეებით, მაგრამ ჩვენება. არც ის უნდა განადგურებულიყო, რაც განადგურდა, მაგრამ რაც დარჩა, ყოველ შემთხვევაში, მათი ჩვენება არის აუცილებელი ჩვენი საზოგადოებისთვის, საერთაშორისო საზოგადოებისთვის. აუცილებელია არა მხოლოდ რიცხვის დასახელება, რომ ათი ათასი თუ ოცი ათასი განცხადებაა პროკურატურაში შესული, არამედ კონკრეტული სია იმ პიროვნებებისა, ვისაც ქონება წაართვეს, ვისაც აიძულებდნენ, რომ გადაერიცხა თანხები, შუაღამისას ეჩუქებინა ხელისუფლებისთვის თავისი ქონებები. ვინც სამსახურიდან იდევნებოდა პოლიტიკური ნიშნით და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ იმ ნაწამებ ადამიანებზე და უკანონო პატიმრებზე. ეს თუ არ იქნება ნაჩვენები, ბუნებრივია, არ მოხდება ამისი არც შეფასება და არც შესაბამისი დასკვნების გამოტანა და ზომების მიღება. ეს ყველაფერი აძლევთ მათ იმის საშუალებას, რომ იყვნენ ასეთ გონორზე. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ეს არის საკუთარი თავის და საკუთარი მომხრეების გამხნევება. მათ არანაირი პერსპექტივა არა აქვთ იმისა, რომ რაღაცნაირად მათი რეანიმაცია და რეაბილიტაცია მოხდეს.

— რომ მომხდარიყო რეჟიმის შეფასება, თქვენი თქმის არ იყოს, ისინი, ალბათ, ვერ იქნებოდნენ ამხელა გონორზე. ამბობენ, რომ მიზანმიმართულად მიდის მათი რეანიმირება ხელისუფლების მხრიდან. თქვენ არ იზიარებთ ამ მოსაზრებას?

— არა, მე ამას უფრო ხელისუფლების უნიათობას, უუნაროობას ვაბრალებ, ასევე დასავლეთიდან ზეწოლა ცუდ მუშაობას დასავლეთში. ზეწოლა სწორედ იმიტომ არის, რომ დასავლეთში არ ხდება სათანადო მუშაობა, მათ უნდა დაანახვონ რეჟიმის სახე. თუმცა ისინი ერთმანეთთან გადაჯაჭვულები არიან და ერიდებიან დასავლეთის მხრიდან ზედმეტ კრიტიკას. ბიძინა ივანიშვილმა ეს პირდაპირ თქვა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ ჩვენ კიდევ ერთი მსუყე ფიგურა რომ დაგვეჭირა, ფაქტობრივად, უნდა დავმშვიდობებოდით ვილნიუსის სამიტს და სამიტის დროს რაიმე წარმატებაზე ფიქრსო. როცა ესე უყენებენ საკითხს, ეს ბუნებრივია, იმიტომაც უყენებენ, რომ მათ ვერ დაანახვეს დასავლეთს ამ რეჟიმის სახე. ეს ყველაფერი უნდა გამოააშკარაონ და შეფასება თავისთავად მოვა. თუ არ აჩვენებ ამ სახეს, როგორ უნდა შეაფასონ? აქ კიდევ ერთი მომენტიც არის — ასეთი დისკრედიტებული ოპოზიცია, რომელსაც არანაირი პერსპექტივა რეანიმაციისა არა აქვს, ყველა ხელისუფლებას აწყობს. შეიძლება, ეს მომენტიც არის, რომ ხელისუფლებას აწყობს სწორედ ასეთი ოპოზიცია, რომელმაც რაც არ უნდა გენიალური აზრები აფრქვიოს და კეთილშობილური ზრახვები გამომაჟღავნოს, მაინც იქნება საზოგადოებისთვის მიუღებელი, იმიტომ რომ მათი წარსული ცნობილია და, აქედან გამომდინარე, შეიძლება, ესეც აწყობს ხელისუფლებას, რომ სწორედ ესენი იყვნენ მათი ოპოზიცია. იმიტომაც არის მოარული აზრი და მეც ვეთანხმები ამ აზრს, რომ ეცდებიან, ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანონ.

— სწორედ ამის კითხვა მინდოდა, ბატონო გელა. ძალიან აღიზიანებს საზოგადოებას ეს სოციოლოგიური კვლევები და მათი შედეგები. ყველა კვლევაში მეორე ადგილს ბაქრაძე იკავებს. ეს რამდენად არის არსებული რეალობა და განწყობა? ალბათ, არა...

— ეს არის ტყუილი. საზოგადოება გრძნობს ამ სიცრუეს და ეს შემდეგ თანდათანობით ისევ ხელისუფლებას აკარგვინებს მომხრეებს. ამ დაკარგული უმრავლესობიდან თითქმის არავინ არ წავა, მაგრამ არიან სხვა ოპოზიციური ძალები და შემთხვევითი არ არის, რომ ადამიანები ბურჯანაძის ბანაკში გადადიან. ნაწილი სხვაგან გადავიდნენ. ცარიელი არ დარჩება ეს ოპოზიციური ნიშა დამერწმუნეთ. არჩევნების შემდეგაც გამოიკვეთება ეს პროცესები. ამ ადგილს აუცილებლად დაიკავებს ჯანსაღი ოპოზიცია და არა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მომაკვდავია, ფაქტობრივად, პოლიტიკურად გარდაცვლილია, თუმცა ცდილობს, მოგვაწვდინოს ხმა სამარიდან, მაგრამ, იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, მე არარეალურად მიმაჩნია მათი გაცოცხლება.

— რაც შეეხება ხელისუფლების კანდიდატ მარგველაშვილისა და პრემიერის განცხადებებს, რომ 27 დამთავრდება კოჰაბიტაცია და სულ ახალი პროცესები დაიწყებაო, როდესაც ასე შეერწყნენ ერთმანეთს, რამდენად მოსალოდნელია ეს პროცესები?

— თუ არ ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, პარლამენტში ეს დისბალანსი ყოველთვის დარჩება. ამ ადამიანებს გარედან 40% ნამდვილად არ უჭერს მხარს, მაგრამ მათ ასე თუ ისე მაინც დასჭირდებათ მათთან კოჰაბიტაცია და თანაცხოვრება. მართალია, ხელისუფლების დიდ ნაწილს დაკარგავს ნაციონალური მოძრაობა, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის პრეზიდენტის ინსტიტუტი, როგორიც არის უშიშროების საბჭო, როგორიც არის გუბერნატორები, ძალიან ბევრ შემთხვევაში გამგებლებიც. ესენი უკვე აღარ ეყოლებათ და თანდათანობით ძალაუფლებასაც დაკარგავენ. გაზაფხულზე მერიაც აღარ იქნება მათ დაქვემდებარებაში. მე დარწმუნებული ვარ და ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ გიგი უგულავას თავიდან აღარავინ აირჩევს. თანდათანობით გაფორმდება მათი პოლიტიკური გარდაცვალება, მაგრამ, ისევ ვიმეორებ, მთავარია, ვინ დაიკავებს მთავარ ოპოზიციურ ნიშას. ხელისუფლება, რომ ბევრ საკითხში უნიათობას და ზოგჯერ უჭკუობასაც ამჟღავნებს ეს ფაქტია. მე ერთ მაგალითს მოვიყვან, როცა ცადეს რაღაცა ახალი სულელური კანონის შემოღება, რომ ფაქტიურად საზღვარგარეთ წასვლის მსურველები არ იყვნენ გარანტირებულები, რომ მათ გაუშვებდნენ. სააკაშვილსაც კი არ მოუფიქრებია ეგ, რომ თუ არა ბრალდებული, თუ არა მსჯავრდებული, თუ არა გირაოთი გარეთ გამოსული ადამიანი, ან ძებნაში მყოფი, სხვა არავითარი უფლება არ ჰქონდათ, დაეკავებინათ და არ გაეშვათ.

— სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეო და რა იდო ამ ყველაფერში? მიუხედავად იმისა, რომ უკან გამოითხოვეს, დიდი ამბავი ატყდა, მაგრამ ეს კანონი რას გულისხმობდა?

— მე გეტყვით რას გულისხმობდნენ, დღესდღეობითაც, ჩვენი ქისტი მეგობრებისგან ვიცი, რომ მათ ძალიან ხშირად აკავებენ საზღვარზე, ეს მისას დროსაც ასე იყო, მაგრამ მან ვერ გაბედა კანონის შეცვლა. მიშას დროსაც და დღესაც, ხშირია შემთხვევები, რომ ამ ქისტებს, თუნდაც ამ ტრანზიტულ მგზავრებს, თუნდაც ჩეჩნებს, თუნდაც დაღესტნელებს, აკავებენ საზღვარზე, უკან უშვებენ, მათ საზღვრის გადალახვის საშუალებას არ აძლევდნენ. არადა, ბრალიც არ ჰქონდათ ამ ადამიანებს წაყენებული და ოფიციალურად ვერც ეუბნეოდნენ მიზეზს. რაღაცა სიები არსებობდა, არაკანონიერი, ანტიტერორისტული ცენტრისგან და ეს ერთ-ერთი მომენტი იყო. ძალიან გაუადვილდებოდა დღევანდელ ხელისუფლებას, კანონში ეს ზოგადი ფრაზა თუ ჩაიწერებოდა, სახელმწიფო ინტერესებია და მორჩა და გათავდა. გუშინ და გუშინწინ ამ ყველაფერს სიტყვით ამბობდნენ. ახლა, რადგანაც დრო შეიცვალა და ასე უპრაგონოდ და განუკითხავად ვეღარ გააჩერებდნენ უნდოდათ ეს ჩაეწერათ. ვიღაცები იმასაც ამბობდნენ, რომ იმისთვის სჭირდებათ, რომ საზღვარი რომ არ გადაკვეთონ იმავე სააკაშვილმა და სხვებმა. ესეც სულელური არგუმენტია, არც ასე შეიძლება ვიღაცისთვის კანონის მიღება, რომ ისინი გააჩერონ აქ. თუ რაიმე აქვთ წასაყენებელი, წაუყენონ ბრალი და არ გადააკვეთინონ საზღვარი. აპელირება იმაზე, რომ კონსტიტუციაში წერია, ბატონო, ესო და ჩვენო პირდაპირ გადმოგვაქვსო. საქმეც ის არის, კონსტიტუციაში რაც წერია ის არის ზოგადი ნორმა. მადლობა ღმერთს რომ უკან გაიტანეს. თუნდაც იგივე ქართული ენის ნორმებთან დაკავშირებით როდესაც იყო საუბარი, ესეც სულელურ საფრთხეებს შეიცავს. მე არ ვამბობ იმას, რომ რეგულაცია არ არის საჭირო რაღაცების, მაგრამ ის რომ ჟურნალისტები დაისაჯონ იმისთვის, რომ არასწორი ქართულით დაწერონ ან თქვან, ეს უკვე მარაზმში გადადის.

— რას ელოდებით არჩევნების შემდეგ, ბატონო გელა?

— არჩევნების შემდეგ ველოდები უფრო სისხლსავსე პოლიტიკურ ცხოვრებას, იმიტომ რომ პოლიტიკურ ძალთა ბალანსი აუცილებლად შეიცვლება, მიუხედავად იმისა, მეორე ადგილზე დააფიქსირებენ თუ არა ბაქრაძეს. ერთიც არის, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა ეცდება თავის გადარჩენას, რეანიმაციას, თუმცა გუშინწინდელმა ყრილობამაც დაგვანახვა, რომ სახეები არის ძველი. რაც არ უნდა ცადონ თითო-ოროლა ახალი ძალის შერევა, ის, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი და მათი გარემოცვაა ეს ფაქტია, მათ აკლდათ მხოლოდ ძმები ახალაიები, მეგის ქარდავა, ჭაკუა და ეს იგივე შემადგენლობაა, ხომ?! გველებივით ტყავს ვერ გამოიცვლიან ესენი და, რაც არ უნდა მოინდომონ ახალი სახით წარმოჩენა, ისინი ყოველთვის ტერორთან, ცოცხებთან, ქონების წართმევასთან და ძალადობასთან იქნებიან ასოცირებული. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იქ ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია, მე ვიტყოდი, რომ როგორც პოლიტიკოსი, თუნდაც პარლამენტში არის 80% არის უფრო ძლიერი პოლიტიკოსი, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები. დღევანდელ ხელისუფლებას იქ შეიძლება ძლიერი პოლიტიკოსი ჰყავდეს 20%. მათ 80% ჰყავთ ნამდვილად, მაგრამ ძლიერი პოლიტიკოსობა არ ნიშნავს წესიერებასა და კეთილშობილებას.

— ბატონო გელა, ადეიშვილის ნიჭიერებისა არ იყოს...

— (იცინის) ადეიშვილისა არ იყოს, მართალს ბრძანებთ, ზუსტად ასეა. იგივე ადეიშვილი და მისი მსგავსნი, რომლებმაც ეს რეჟიმი შექმნეს. სტალინიც უნიჭიერესი ადამიანი იყო და ჰიტლერიც და ძალიან ძლიერი რეჟიმები შექმნეს, მაგრამ ამით არავინ აფასებს და ამართლებს დღეს მათ. სულ სხვა საზომით უდგებიან და სწორიც არის. ისე რომ, თუ ამ ადამიანებს გადარჩენა უნდათ და თუ პატარა კეთილშობილებამ გაიღვიძა მათში და რეჟიმის მსხვერპლები არ არიან, მათ თავიანთი გზა უნდა მოძებნონ პოლიტიკაში, ისევე, როგორც მე ხშირად მითქვამს მოსამართლეებზე. მოსამართლეებს არ აკლიათ კვალიფიკაცია, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეები არიან უმრავლესობა. მათ აკლდათ სინდისი და თავისუფლება. მე არ ვსაუბრობ ოდიოზურ მოსამართლეებზე, მაგრამ ამ მოსამართლეების უმრავლესობამ დღეს ეს თავისუფლება მიიღეს ახალი ხელისუფლებიდან. მე ეს ნამდვილად ვიცი ჩემი გამოცდილებიდან, რომ ახალი ხელისუფლება მათ არ ავიწროებს და არ მოითხოვს მათგან რაღაც გადაწყვეტილებების მიღებას.

— ახლა სინდისმა უნდა გაიღვიძოს?

— დიახ, ასეა. ახლა ისინი თუ გათავისუფლდებიან ძველი ხელისუფლების კლანჭებისგანაც და ეს ნელ-ნელა მოხდება, ალბათ, არჩევნების შემდეგ, რადგან რეალურ ბერკეტებს დაკარგავს წინა ხელისუფლება, რჩება ერთადერთი, აი, ეს სინდისი რამდენში გაიღვიძებს და რა დოზით. მათ აქვთ შანსი, რომ გახდნენ კარგი მოსამართლეები. ასე რომ, ყველა ადამიანი თვითონ ირჩევს თავის გზას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალეკო შალამბერიძე: „შეგვხვდეს ივანიშვილი ოპოზიციონერებს და ვანახვებთ, როგორია ნამდვილი მიჯირყვნა“

უქნარა მილიარდერმა ლუარსაბ თათქარიძესავით დაიწყო ბიჭების დაწიოკება

საქართველოს მეოცნებე პრემიერმა ბოლო ჟამს ერთი უცნაური ტრადიცია დაამკვიდრა: ოთხშაბათობით თავისთან, შეხვედრაზე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს იბარებს და მათ გაჯირყვნას ახორციელებს. მის მიერ ჯერჯერობით ექსპერტები და ჟურნალისტები იქნენ გაჯირყვნილნი. ახლა მთელი ერი იმაზე ლოცულობს, ეგება, პრემიერმა ეროვნული საფეხბურთო ნაკრები დაიბაროს და მთავარ მწვრთნელიანად მიჯირყნოსო. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი ალეკო შალამბერიძე მიიჩნევს, რომ პრემიერს აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირების უფლება. თუმცა მან თავისუფალი აზრის გამოხატვას ხელი არ უნდა შეუშალოს. ჯირყვნის ხასიათზე მყოფ ივანიშვილს შალამბერიძე ნამდვილ ოპოზიციონერებთან ურჩევს შეხვედრას.

რისი რცხვენია დავით ბაქრაძეს, რატომ უნდა დაირაზმოს საქართველო, რატომ არ შეიძლება თავისუფალი აზრის შეზღუდვა და დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრება — ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.



შორენა მარსაგიშვილი

ალეკო შალამბერიძე:

ბიძინა ივანიშვილმა 2 შავი ოთხშაბათი უკვე მოაწყო. მართლა ვერ ვხვდები, რა მიზანს ემსახურებოდა ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან მისი ამ ფორმატში შეხვედრა. ეს იყო ტიპური საქმის გარჩევა. არ მესმის, პრემიერმა ჟურნალისტები რატომ უნდა მიჯირყნოს იმის გამო, რომ ისინი ამა თუ იმ ინფორმაციას ავრცელებენ.

— საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ განგვიმარტა, ჟურნალისტებმა იმის წერას თავი უნდა დაანებოთ, რაც თავში აზრად მოგივათო.

— დათო საგანელიძე არის ჩემი მეგობარი. წინა კვირაში მის მიერ გაკეთებული განცხადებები ყურადღებით მოვისმინე, ძალიან მეწყინა, დათო ახლა ასე რომ ფიქრობს. ადრე სხვანაირად ფიქრობდა. შეხედულებების შეცვლა ბუნებრივია ყველას შეუძლია, თუმცა აზრის გამოხატვის და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის უფლება არავის აქვს. მინდა ბიძინამაც და დათომაც გაიგონ, რომ აზრი თავისუფალია. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ფორმებით მიდის პრემიერის დაცვა. ის თავის მხრივ მინისტრებს იცავს. რა დაცვა ამათ სჭირდებათ? ისინი უკვე პოსტებზე არიან, კეთილი ინებონ და საქმე გააკეთონ. ისინი ხალხის მიერ დაქირავებულები არიან და თუ ვინმეს ღამე არ სძინავს, ეს არავის ბრალი არაა. მინისტრები საკმაოდ მაღალ ხელფასებს იღებენ. პრემიერის განცხადებების დიდი ნაწილი გამაღიზიანებელი იყო. ყველაზე მეტად მისმა პოზიციამ გამაღიზიანა, რომელიც მან დიცთან და დვანთან დაკავშირებით გამოხატა. განაცხადა, რომ იქ არ ჩავა, რადგანაც უამრავი საქმე აქვს.

—საქმეები მართლაც ბლომად აქვს და ყველგან მართლაც ვერ ჩავა.

— ყველგან ჩასვლას არავინ არ სთხოვს. დიცში და დვანში კი მართლა სერიოზული პრობლემებია შექმნილი, სადაც ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად უნდა ჩავიდეს. კაი, არ ჩადის, ხალხი მაინც ანუგეშოს. ყველამ ვნახეთ, როგორ დაშალა რამდენიმე ოჯახმა აგურ-აგურ საცხოვრებელი, რადგანაც მათი სახლები მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა. ბიძინა ივანიშვილმა ერთი არ უთხრა ამ ადამიანებს, ნუ შლით მაგ სახლს, საცხოვრებლით ჩვენ უზრუნველგყოფთო. ბრინკა სააკაშვილის წამოწყებულ ანაკლიის პორტს აშენებს და ამ რამდენიმე სახლის აშენება რა იყო? საქართველოს ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ დიცი და დვანი ახლა უმთავრესია. იქ აუცილებლად უნდა ჩავიდეს პრემიერი. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მთავრობას ისინი არ მიუტოვებია.

— იქ ჩასვლას არც გიორგი მარგველაშვილი აპირებს. ამბობს, ეს პიარ-ნაბიჯი იქნებაო.

— მაშინ საერთოდ ნუ გამოვა სახლიდან. ახლა ყველა მისი ნაბიჯი პიარ-აქციაა. მთელ საქართველოში მართავს ამომრჩეველთან შეხვედრას, დიცი და დვანი საქართველო არ არის, თუ რაშია საქმე? მარგველაშვილი იქ მხოლოდ იმიტომ არ ჩადის, რომ ივანიშვილს არ უნდა იქ წასვლა.

— რატომ არ უნდა, დაიფიცა, დაიგინა თუ რა ხდება?

— მათ ამ მიმართულებით დაუშვეს დიდი შეცდომა. პრემიერის ჩაუსვლელობას ვგულისხმობ. ახლა იხტიბარს არ იტეხენ და თავიანთ წაუსვლელობას ყველანაირად ამართლებენ. წასვლას ვინ ჩივის, ამ ხალხის მხარდასაჭერად და გასამხნევებლად სიტყვაც კი არ უთქვამთ.

— არის ჭორები, რომ ეს სოფლები რუსებს დაუთმეს. მართლა ასე ხომ არ არის?

— დათმობა არ მომხდარა. აქ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე. კარგად მესმის, რომ რუსეთს სამხედრო ძალით ვერ შეებრძოლებით. ომის დაწყებას არც არავინ ითხოვს. საკუთარი მოქალაქეების დაცვის მექანიზმი კი აუცილებლად უნდა გქონდეს. იმას ხომ არ ვამბობ, რომ შაჰიდის ქამარი შემოირტყან და მავთულხლართები აფეთქონ, მაგრამ ამ ხალხს ხომ შეიძლება სიტყვით მაინც გამოუხატო მხარდაჭერა. ან რაიმე სახის დახმარება გაეგზავნათ. რუსეთის მოქმედება ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ამიტომ საჭიროა, უფრო მაღალი დონის შეხვედრები გავმართოთ, ვიდრე ეს აბაშიძე-კარასინის შეხვედრაა. ამ საქმეში უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო თანამეგობრობა.

— რუსეთის ქმედება რას ემსახურება? ამით რისი მიღწევა უნდათ?

— ჩვენი პროვოცირება უნდათ. კარგი და ცუდი რუსეთი არ არსებობს, რუსეთი არის რუსეთი და ის არ იცვლება.

— აკი ამბობდნენ, სააკაშვილის ხელისუფლების წასვლის შემდეგ საქართველოსთან ურთიერთობას დავალაგებთო.

— რუსეთის ხელისუფლება როდის იყო დაპირებებს ასრულებდა. მათგან პროვოკაციები ყოველთვის იქნება. მთავარი ისაა, ჩვენ როგორ დავხვდებით. სააკაშვილი კაბინეტიდან აგინებდა, ამტკიცებდა, ხისტი პოზიცია უნდა გვქონდეს რუსეთთანო.

— ივანიშვილი და მისი გარემოცვა, რომ არც აგინებენ.

— კარგია, რომ არ აგინებს.

— ხო, მაგრამ რა განსხვავებაა, რუსეთი ისევ ისე იქცევა.

— შეიცვლის ამ პოზიციას. გინება პოლიტიკაში არ მოსულა. გაეროს ტრიბუნიდან სააკაშვილმა ბევრი სწორი რამე თქვა რუსეთზე, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკა. რუსები თავისას მაინც გააგრძელებენ. ჩვენ უნდა შევცვალოთ რიტორიკა და საერთაშორისო თანამეგობრობა გავააქტიუროთ. აქ მე ევროპა მყავს მხედველობაში. მარტო ამერიკის იმედზე ნუ ვიქნებით.

— ამ ფონზე სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა გამართლებულია?

— ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მივიღოთ. ჩვენ გარდა ამ თამაშებს ბოიკოტს არავინ გამოუცხადებს. მარტო ბოიკოტის გამოცხადება არის სიგიჟე. ჩვენ უნდა მოვემზადოთ და სწორედ სოჭში უნდა მოვიპოვოთ, რაც შეიძლება მეტი მედალი.

— გჯერათ, რომ ჩვენები სოჭში რაიმე სინჯის მედალს მოიგებენ?

— მჯერა! რაგბიში რუსებს მაგრად ვაწიოკებთ და იმედი მაქვს, სოჭშიც მოვიპოვებთ მედლებს. ბოიკოტით კი ვერაფერს მივაღწევთ.

— მოდით, შიდა პრობლემებს დავუბრუნდეთ. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო პარლამენტმა ერთი თვით შეაჩერა მუშაობა. თქვენი აზრით, ეს ნორმალურია?

— საკანონმდებლო ორგანომ მუშაობა საპატიო მიზეზით შეაჩერა. ასეთი რამეები ყველგან ხვდება. ამაში ტრაგიკული არაფერი არ არის. სხვა საქმეა, როგორ მუშაობს ეს პარლამენტი. ქვეყანა საარჩევნო რეჟიმზეა და არაფერია, თუ ერთი თვით პარლამენტში ოპონენტები არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

— მათ შორის დიდი დაპირისპირება ნამდვილად არ იყო.

— მართლა სერიოზულ სიამტკბილობაში არიან, მაგრამ მაინც კარგია, რომ გაჩერდნენ. ახლა მთელი ყურადღება საპრეზიდენტო არჩევნებისკენ უნდა გვქონდეს მიმართული. ქალაქში დავით ბაქრაძის ბილბორდი ვნახე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მკრთალად აწერია. აშკარაა, ბაქრაძეს რცხვენია, ამ პარტიის წევრი რომ არის.

— სამაგიეროდ გიორგი მარგველაშვილს არ რცხვენია თავისი ნაციონალი მეგობრების. ამაყად ასახელებს ხოლმე მათ.

— რისი უნდა შერცხვეს, გაქანებული კოაბიტაციაა. ისინი ერთ გუნდს წარმოადგენდნენ. არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. ამიტომაც არ მჯერა, რომ 27 ოქტომბერს ვინმე კოაბიტაციას დაამთავრებს. როგორც ამბობენ, დავით ბაქრაძე მეორე ადგილზე გაჰყავთ.

— რეზო ამაშუკელი ვარაუდობს, რომ თუ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა, მთელი თბილისი ქუჩაში გამოვა.

— ვეთანხმები ბატონ რეზოს. მართლა მთელი თბილისი გამოვა ქუჩაში.. ამისთვის მზადება უკვე უნდა დავიწყოთ.

— თქვენც გამოხვალთ?

— რა თქმა უნდა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ არჩევნების გაყალბება.

— როგორ ფიქრობთ, გააყალბებენ?

— ამის ნიშნები უკვე ჩანს. საარჩევნო ადმინისტრაციები ნაციონალებმა და მეოცნებეებმა დაკომპლექტეს. ბუნებრივია, ისინი საკუთარ ინტერესებს გაატარებენ. ერთ-ერთი საარჩევნო უბნის თავმჯდომარის მოადგილე არის ქალბატონი უგლავა. რომელმაც შარშანდელ არჩევნებზე საარჩევნო უბნის ბეჭედი ჩააგდო უნიტაზში. არადა, ეს ბეჭედი ოქმისთვის უნდა დაერტყათ. ბეჭედი თუ არ იქნებოდა, ამ უბანზე არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდებოდა. კომისიის ოპოზიციონერმა წევრებმა უნიტაზი გატეხეს, ბეჭედი რომ ამოეღოთ და არჩევნები არ ჩაშლილიყო. ეს ადამიანი ისევ თანამდებობაზეა. თქვენი აზრით, ეს ადამიანი ახლა არაფერს იზამს? ამ ადამიანის თაობაზე უკვე მივმართე უწყებათაშორის კომისიას. დიდი იმედი მაქვს, რომ გაათავისუფლებენ. ასეთები საარჩევნო კომისიებში მრავლად არიან. ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ. არჩევნების გაყალბება არ უნდა დავუშვათ.

— დიდი გნიასი მოჰყვა მორიგ სოციოლოგიური კვლევებს. თითქმის ყველა უკმაყოფილო და შეშფოთებულია.

— მე აღშფოთებული გახლავართ. ეს კვლევები ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს. საზოგადოებრივ აზრს იმისთვის ამზადებენ, რომ ნაციონალები მეორე ადგილზე გავლენ. სოციოლოგიური კვლევები საქართველომ თავად უნდა ჩაატაროს. უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამას გააკეთებს. ეს დიდი ხნის წინაც უნდა გაგვეკეთებინა. ბოლოს და ბოლოს 21-ე საუკუნეა და ჩვენც ხომ უნდა გვყავდეს ასეთი ჯგუფი. ხომ უნდა გავიგოთ, რეალურად რა განწყობა აქვს ხალხს. სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლება ცდილობს, რომ რეალური სურათი არ დაიდოს. ივანიშვილმა სწორედ ამიტომ დაიბარა მედია და ექსპერტები, პირდაპირ ეთერში მიჯირყნა ისინი. ამით საზოგადოების დაშინება უნდა. ეტყობა, თავისუფალი სიტყვა არც მას არ მოსწონს. დღეს ერთი ამბავია ატეხილი არიქა ბიძინა მიდის და დავიღუპებითო. ვიღაცები ეხვეწებიან, დარჩიო. ხვენნა საჭირო არ არის. მიდის და წავიდეს!

— მისი წასვლა ქაოსს არ გამოიწვევს?

— ქაოსი არ იქნება, მაგრამ რყევები იცოცხლე. ამის მიუხედავად, არ უნდა შეეხვეწოთ. ამ კაცმა მართლა დიდი საქმე გააკეთა. სააკაშვილი მოგვაშორებინა. ამისთვის დიდი მადლობა, მაგრამ ამის გამო ნუ მიგვჯირყნის. მისი ასეთი ქმედება ძალიან ცუდად ჩანს.

— ექსპერტებსა და მედიას საჯაროდ თუ ასე ტუქსავს, თავისი გუნდი ალბათ სულ დაწიოკებული ეყოლება.

— წარმომიდგენია. აი, იქ არის ჯირყვნა, თუ არის. განსახვავებული აზრის მოსმენა აშკარად არ მოსწონს. ამის გამო უმრავლესობაში უთანხმოება აუცილებლად იქნება.

— თავადაც თქვა, რომ ერთი-ორი კაცი სიტუაციის ამოყირავებას ცდილობსო.

— სიტუაციის ამოყირავებას ეგ ცდილობს. მას არ მოსწონს განსხვავებული აზრი და წარმომიდგენია, რა დღეში აგდებს დეპუტატებს და მინისტრებს. ამის გამო ვიღაცები დატოვებენ მის გუნდს. გაჯირყვნას ყველა არ მოითმენს. პრემიერმა კრიტიკის მიღება უნდა ისწავლოს. მე მადლობას ვეტყვი ჩვენს ჟურნალისტებს, რომლებმაც პრემიერის ჯირყვნას ჯირყვნითვე უპასუხეს. ამ მხრივ ექსპერტებმა თავი ნამდვილად ვერ გამოიჩინეს. ახლა მოუთმენლად ველოდები, როდის შეხვდება ივანიშვილი ბეჭდურ მედიას.

— რატომ, ჩვენი ჯინი გჭირთ?

— პირიქით, იმედი მაქვს, რომ პრემიერს ისინი უფრო შეუტევენ. მოგეხსენებათ, რომ ბეჭდური მედია ბევრად თავისუფალია და აი, მაშინ ორივე მხრიდან იქნება ჯირყვნაი საკვირველი.

— შეხვედრების ასეთ ფორმატში გამართვა ნეტავი ვინ ურჩია. ის ვიღაც, წესით, მოყვარე არ უნდა იყოს.

— ვერ გეტყვით, ვინ ურჩია. მგონია, რომ თავად ურჩია საკუთარ თავს. 7.5 მილიარდი რომ გაქვს ადამიანს, ძნელია მიწაზე იყო. ამხელა თანხა აქვს კაცს და უჭირს იმის ატანა, რომ ვიღაცები ფეხებში ებლანდებიან და ჭკუას ასწავლიან. მისი ასეთი ქმედება ლუარსაბ თათქარიძის საქციელს მაგონებს. ეს პერსონაჟი ხანდახან ბიჭებს აწიოკებდა ხოლმე. ივანიშვილმაც ასე დაიწყო, ყოველ ოთხშაბათს ბიჭებსა და გოგოებს აწიოკებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი პრემიერი არის უქნარა და უსაქმური.

— უქნარა რომ ყოფილიყო, 7.5 მილიარდს ვერ იშოვიდა.

— მაშინ არ ზარმაცობდა. ახლა იშოვა ეს ფული და საღამოს 10 საათზე უკვე სძინავს. რა აძინებს ამ დროს, მიკვირს. პრემიერი კაცი ხარ, რამდენიმე ღამე თეთრად არ უნდა გაათენო? მე იმას არ ვამბობ, რომ მას კრიტიკის უფლება არა აქვს. მასაც შეუძლია ყველას გაკრიტიკება. ოღონდ ის უნდა იცოდეს, რომ აზრის გამოხატვის გაჯირყვნის უფლება არავის არა აქვს. მთავრობის კრიტიკა აუცილებელია. ისევე, როგორც დამნაშავეების დასჯა. დამნაშავე თუ არ დაისაჯა, დაუსჯელობის სინდრომი გაბატონდება. სწორედ ამიტომ ვითხოვთ დამნაშავე ნაციონალების დასჯას. მათ თუ პასუხი არ ვაგებინეთ, მომდევნო ხელისუფლება უარესს ჩაიდენს.

— ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ნაციონალების დასჯას არ აპირებენ.

— მათთვის იქნება ცუდი, თუ არ დასჯიან. ამის გამო მათ დასჯის ქართველი ხალხი. არ შეიძლება, დამნაშავე რეჟიმი მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოაცხადო. ნამდვილი ოპოზიცია ახლა არის ქუჩაში. ივანიშვილი ჩვენთან შეხვედრით თავს არ იწუხებს. შეგვხვდეს ოპოზიციონერებს და ვანახვებთ, როგორია ნამდვილი მიჯირყვნა.

მაშველებმა მესტიაში წარმატებული სამაშველო ღონისძიება განახორციელეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს განყოფილების და სასაზღვრო პოლიციის მესტიის ნომერ მე-9 სამმართველოს თანამშრომლებმა წარმატებული სამაშველო ოპერაციის შედეგად მესტიის რაიონში დაკარგულ ტურისტებს მიაკვლიეს.

„ტურისტები სოფელ ჟაბეშიდან უღირის უღელტეხილის გავლით სოფელ ადიშში მიემართებოდნენ. ამინდის გაუარესების გამო მათ კვალი აებნათ და გზის გაგრძელება ვეღარ შეძლეს. დახმარების შესახებ შეტყობინება გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა სამაშველო ოპერაცია ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყეს. მიუხედავად ამინდის გაუარესებისა, სამაშველო-საძიებო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა და არ შეწყვეტილა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო ჯგუფმა სრული სამთო აღჭურვილობით 16 ხეობა და ყველა არსებული ტურისტულ მარშრუტი დაათვალიერა.

5 ოქტომბერს ებრაელ ტურისტებს მაშველებმა სოფელ ადიშსა და ჯაბეშს შორის მდებარე ერთ-ერთ ხევში მიაკვლიეს. ამ დროისთვის ორივე მათგანი გადაყვანილია მესტიაში და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება“, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პირველი

ნარკოდანაშაულის ფაქტზე გერმანიის მოქალაქე დააკავეს

1990 წელს დაბადებული ფლორიან რ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე დააკავეს. „სამართალდამცველებმა ფლორიან რ-ს პირადი ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ლიზერგინის მჟავით — ე.წ. „ელ-ეს-დე“-თი გაჟღენთილი 72 მცირე ზომის ფირფიტა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს“, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ნაციონალებმა ხუთჯვრიანი დროშა ოთხგულიან დროშად აქციეს

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებმა პარტიული დროშა შეცვალეს. ეს გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთპიროვნულად მიიღო. ეს სიახლე ფართო მასებისთვის ცნობილი 5 ოქტომბერს გახდა. ამ დღეს ნაციონალებმა სპორტის სასახლეში პარტიული ყრილობა გამართეს.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ამავე დროს პარტიის თავმჯდომარეც არის, თანაპარტიელებს ნაციონალური მოძრაობის ახალი დროშა შესთავაზა, რომელზეც ხუთ ჯვრის ნაცვლად ერთი დიდი ჯვარია, პატარა ჯვრების ადგილზე კი წითელი ფერის გულებია გამოსახული.

– თქვენ შეამჩნეთ ახალი დროშა. მინდა გითხრათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროშა ერმა ეროვნულ დროშად აიტაცა. მე გთავაზობთ ახალ დროშას – ჯვრის გარშემო გაერთიანებულ სიყვარულის დროშას, აღმშენებლობის დროშას. ეს დროშა ნიშნავს შემდეგ რამეს – ეს არის ქრისტიანული ფასეულობების გარშემო გაერთიანება, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დროშის შეცვლას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. მათ შორის ისინიც აღშფოთდნენ, რომლებიც იძახდნენ, რომ არ შეიძლებოდა, სახელმწიფო დროშა რომელიმე პარტიის დროშა ყოფილიყო.

აქამდე მოგეხსენებათ, რომ ნაციონალები სახელმწიფო დროშით სარგებლობდნენ. უფრო სწორად, თავიანთი პარტიული დროშა აკურთხეს სახელმწიფო დროშად. ეს 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა.

თავდაპირველად ეს დროშა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის მერიის თავზე აღმართა. მაშინ ის დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე იყო. მერიის შენობის თავზე პარტიული დროშის აღმართვას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ყველაზე მეტად დეპუტატი გურამ შარაძე აქტიურობდა. ცხონებულმა გურამ შარაძემ რამდენჯერმე მოითხოვა ამ დროშის ჩამოღება, მაგრამ ამაოდ. სააკაშვილი არავის არაფერს ეკითხებოდა და იმას აკეთებდა, რაც თავად სურდა. ამაში მას შევარდნაძეც ხელს უწყობდა.

ეს დროშა სახელმწიფო დროშად, როგორც უკვე გთხარით, 2003 წლის დეკემბერში იქცა. 2003 წლის 22 ნოემბერს სააკაშვილი და მისი რევოლუციური გარეგანი პარლამენტში შეიჭრა, სადაც ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა მიმდინარეობდა. სხდომა ჩაიშალა და ახალი პარლამენტიც დაიფრინეს. მომდევნო არჩევნებამდე მუშაობას კვლავ ძველი პარლამენტი შეუდგა.

სწორედ ამ ძველმა პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო დროშად ხუთჯვრიანი დროშა. აღსანიშნავია, რომ მაშინ ნაციონალების ნებას ყველა უსიტყვოდ დაემორჩილა. მხოლოდ გურამ შარაძე იყო წინააღმდეგი.

ამ დროშით ნაციონალებმა ბევრი სარგებელი მოუტანეს საკუთარ თავს. თუმცა ბოლო ხანებში აშკარად ცუდად წაუვიდათ საქმე და შესაძლოა დროშა ამიტომაც შეცვალეს.

საეჭვოა, დროშის შეცვლამ მათ რაიმე სარგებელი მოუტანოს. მართალია ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ, მაგრამ 4 გული მათ ნამდვილად ვერ დააბრუნებს. გული სიყვარულის სიმბოლოდ ითვლება, მათ კი ხალხის სიყვარული მართლა არა აქვთ. თუ ოცნება ასე გააგრძელებს, შეიძლება მათდამი ვინმე მართლაც განიმსჭვალოს სიყვარულით. ამ ეტაპზე ამის შანსი ნამდვილად არა აქვთ.

ისე, მართლა საინტერესოა, რატომ შეცვალეს ნაციონალებმა პარტიული დროშა, ან თუ ცვლილება სურდათ, სახელმწიფო დროშის გადაკეთება რა აუცილებელი იყო? მაგრამ ამათთვის სახელმწიფო დროშა ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს 2003 წლის 22 ნოემბერსაც დაამტკიცეს. პარლამენტში შემოვარდნილმა ნაციონალებმა შენობაში არსებული სახელმწიფო დროშები ჩამოხიეს და თავიანთი პარტიული დროშა აღმართეს. ძირს ჩამოყრილ სახელმწიფო დროშებს კი ფეხით თელავდნენ.

მეუფე იაკობი: „ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრება დღეს მოდური გახდა“

– დღეს ჩვენს ქვეყანაში მოდური გახდა ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრება და ჩვენ, სასულიერო პირებს, გვმართებს ისეთი ცხოვრება, რომ ხალხმა მაგალითი აიღოს. – ეს განცხადება გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე სამების საპატრიარქო ტაძარში ბოდბის ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა გააკეთა და აღნიშნა, რომ სასულიერო პირებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და თავიანთი სისუსტეები აქვთ.

როგორც მეუფე იაკობმა ბრძანა, ძველად ადამიანები საზღვარგარეთ რომ გადიოდნენ, ღრუბელივით ისრუტავდნენ ყოველივე სიკეთეს და თავიანთ სამშობლოში შემოჰქონდათ. დღეს კი ხშირად ხდება, როცა უცხოეთიდან დაბრუნებულ ადამიანს თავისი ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ბევრი რამ იწერება პრესაში და ითქმება ტელევიზიაში, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი მკითხველი და მსმენელი ჰყავს და ეს კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ ახალი არ არის. ქართულმა ეკლესიამ ძალიან კარგად იცის იმ ადამიანების სახელები და გვარები, ვინც მას ებრძვის, იცის, თუ საიდან ფინანსდებიან ისინი და რა ძალა პატრონობს მათ სწორედ ახლა, როდესაც დაკარგულია საქართველოს ტერიტორიები.

მეუფე იაკობი მიიჩნევს, რომ საქართველოს დაკარგული ტერიტორიები არა მხოლოდ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია, არამედ არის ტაო-კლარჯეთიც.

„ვინც ლაპარაკობს ეკლესიაზე, ჯერ თავის თავს მიხედოს, რა გაუკეთებია და რის გაკეთებას აპირებს. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. მათ თავიანთი გზა უნდა აირჩიონ. ჩვენი ერისა და უფლის შვილებს ნებისმიერი სარწმუნოების ადამიანის დაჩაგვრას არ მოვინდომებთ და არ მოვუწოდებთ“, – ბრძანა მეუფე იაკობმა.

მან მრევლს თბილისობა მიულოცა და უსურვა, რომ ისინიც ისე შეეწიონ თავიანთ სამშობლოს, როგორც 100 000 მოწამე, დავით აღმაშენებელი და დავით გარეჯელი.

მედიანიუსი

თეა წულუკიანი მინისტერიალის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 7 ოქტომბერს ლუქსემბურგში დაგეგმილ სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას. მინისტერიალი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ლიტვის იუსტიციის მინისტრისა და ევროკომისიის სამართლის გენერალური დირექტორატის ინიციატივით ტარდება.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, ლიტველი კოლეგისაგან მინისტერიალზე მიწვევა ვილნიუსში ოფიციალური ვიზიტისას მიიღო. უმაღლესი დონის შეხვედრას ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციის მინისტრები დაესწრებიან.

მინისტერიალზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანის მინისტრები მოხსენებით წარდგებიან. საქართველოს იუსტიციის მინისტრი თავის მოხსენებაში მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებულ რეფორმასა და დაგეგმილ ცვლილებებზე ისაუბრებს.

მინისტერიალზე სხვა საკითხებთან ერთად პირადი მონაცემების დაცვისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ სიახლეებსაც მიმოიხილავენ. სამუშაო დღის ბოლოს სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ მინისტერიალზე სპეციალურ დეკლარაციას მიიღებენ.

მედიანიუსი

ესტონეთის პრეზიდენტი საოკუპაციო ხაზზე რუსეთის ქმედებებს გმობს

ესტონეთის პრეზიდენტი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის ქმედებებს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად აფასებს. ამის შესახებ ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ილვესმა, კიშენიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მაია ფანჯიკიძესთან და მოლდოვის პრემიერ-მინისტრთან იურიე ლეინკასთან ერთად, ღვინის ფესტივალის გახსნისას განაცხადა.

„ეს არის საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა“- აღნიშნა ილვესმა რუსეთის ქმედებების კომენტირებისას.

ღვინის საერთაშორისო ფესტივალს გახსნას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მოლდოვას რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დაესწრო.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრები გამართა მოლდოვას პრემიერ-მინისტრთან იურიე ლეანკასთან და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრთან ნატალია გერმანთან.

მედიანიუსი

სოსო ცინცაძე: „ნაციონალები რევანშისთვის ემზადებიან“

ნათია ხურცილავა



ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან

– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ პრემიერის შეხვედრას ექსპერტებთან, ჟურნალისტებთან, ის სამოქალაქო სექტორთანაც აპირებს შეხვედრას.

– ივანიშვილისთვის მოულოდნელი იყო, სულ რაღაც რამდენიმე თვეში „ქართული ოცნებისადმი“ და ახალი მთავრობის მიმართ ამდენი პრეტენზია გამოითქმოდა. დღეს, პოლიტიკური პროცესების შეფასებისას პრესაში ნეგატივი მეტია, ვიდრე პოზიტივი. ეტყობა ეს ივანიშვილს რაღაცით ახსენებს სააკაშვილის პერიოდს, როდესაც მთელი ბეჭდვითი მედია ღიად აკრიტიკებდა ხელისუფლებას, პრაქტიკულად ყველა ტელევიზიაც, თუ არ ჩავთვლით რამდენიმეს, რომელიც მიკერძოებული იყო. ივანიშვილმა გვითხრა, რომ მინისტრები გაბრაზებულები, შეშფოთებულები და აღშფოთებულები არიან ჟურნალისტების დაუსაბუთებელი ბრალდებებითო. ზოგიერთ მინისტრს მუშაობის სურვილიც კი არ აქვსო.

– თქვენი აზრით, ეს რას ნიშნავდა?

– ეს ძალიან კარგ პროცესს ნიშნავს: პრესა იმიტომ არსებობს, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, რომ მუდმივად წნეხის ქვეშ, მაგრამ ობიექტური, მიუკერძოებელი წნეხის ქვეშ ჰყავდეს ხელისუფლება. პრესის ასეთი დამოკიდებულება ახალი ხელისუფლების მიმართ სრულიად მოსალოდნელი იყო, რადგან თქვენი დანიშნულება, როგორც პროფესიონალების სწორედ ეს არის. დაპირებების შესრულებას რომ ითხოვს პრესა, უფრო ზუსტად ამაზე კითხვებს რომ სვამს, როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან შეიძლება ის ფიქრობდა, რომ ამას მოსახლეობა და ჟურნალისტები გაგებით შეხვდებოდნენ. წარმოიშვა სადისკუსიო სივრცე. სრულდება თუ არ სრულდება დაპირებები. პარლამენტის თავმჯდომარემ ახალი სქემა გამოიგონა ოთხ წელზე გავთვალეთ დაპირებები და ყოველ წელს შევასრულებთო. ასევე წინა პლანზე იწევს ე.წ. სამართლიანობის აღდგენის საკითხი. ეს, როგორც ჩანს, საზოგადოებას ძალიან აწუხებს. ადამიანები ხედავენ, რომ მხოლოდ ორი-სამი ყოფილი ჩინოვნიკი იხდის სასჯელს. სხვა საქმეები კი დაძრული არ არის.

– ამაზე პრემიერის არგუმენტია, რომ პროკურატურაში ათასობით საქმეა შესული და ფიზიკურად ვერ აუდის...

– დიახ, დიდი დრო არის საჭირო, მაგრამ ამ არგუმენტმა შეიძლება სხვა საზოგადოებაში იმუშაოს და არა ქართველ საზოგადოებაში. თავად ივანიშვილი ყოველ მეორე წინადადებაზე ხაზს უსვამს ქართველი ხალხის სპეციფიკურობას. იმასაც ამბობს, რომ ჩვენთან კონკურსი არასდროს არ იქნება მიუკერძოებელიო, რადგან ჩვენ ქართველები ვართო. მართალია საქართველოში ნათესაობა, მეგობრობა მუდამ იქნება, ყოველ შემთხვევაში ძალიან დიდ ხანს, მაგრამ ამ შემთხვევაში საზოგადოება სხვანაირად ფიქრობს. ქართველი საზოგადოება ამას ვერ აიტანს და ამიტომ ითხოვს.

– პრემიერი არ გამორიცხავს, რომ უმრავლესობაში იყოს ერთი-ორი ისეთი კაცი, რომელმაც სიტუაციის აყირავება სცადოს, როგორ ფიქრობთ, ვისზე მიანიშნა ივანიშვილმა?

– ერთი გამოკვეთილია, რომ კობა დავითაშვილია.

– თუმცა, ის უკვე კარგა ხანია ოპოზიციაშია გადასული...

– დიახ, მეორე შეიძლება იყოს გია გაჩეჩილაძე, რომელიც ჯერ არ გადასულა ოპოზიციაში, მაგრამ მკვეთრი განცხადების გაკეთება ვინც გაბედა გია გაჩეჩილაძე იყო. ვისაც ეყო გამბედაობა, რომ ხმამაღლა ეთქვა თავისი პრეტენზიის შესახებ. არიან ისეთები, რომლებიც არ ფიქრობენ ისე, როგორც სხვები, მაგრამ იმ კეთილდღეობას ვერ ელევიან, რაც მათთვის ივანიშვილის გუნდში ყოფნას ახლავს. მე ყოფით კეთილდღეობას ვგულისხმობ. დღესა კოალიცია ძალიან ეკლექტურია, ერთგვარ ვინიგრეტს წარმოადგენს. განსხვავებული ფასეულობებისა და ღირებულებების ადამიანები შეიკრიბნენ.

– თუმცა, მათ ერთი მიზანი აერთიანებდათ...

– ორი რამ აერთიანებდათ მათ არჩევნებამდე ერთი – მიშას გაგდება და ივანიშვილის ფრთის ქვეშ ყოფნა. მალე ივანიშვილის „ფრთაც“ უკვე აღარ იქნება.

– კოალიციის დაშლაზე საუბრობთ?

– არა, კოალიცია, როგორც ასეთი, არ არსებობს. არსებობს ერთმანეთისადმი ფარული აგრესიით, შურით, ფარული უკმაყოფილებით გამსჭვალული პარტიათა ხელოვნური ერთობლიობა. ცუდია, როდესაც კოალიციას აერთიანებს არა ერთი მიზანი, ფასეულობები, საერთო ღირებულებები, არამედ ყველაზე მესჩანური, ყოფითი რამ. კოალიციიდან გასვლით ეს ადამიანები პირველ რიგში გარანტირებულ ცხოვრებას დაკარგავენ. ამ ადამიანებს თვითგადარჩენის ინსტინქტი აჩერებთ. კიდევ ერთი, კოალიციის დაშლის შემთხვევაში ვინ იქნება ყველაზე დიდი ფრაქცია პარლამენტში? ცხადია „ნაციონალური მოძრაობა“. კოალიციისთვის ეს იქნება „ნაციონალების“ რევანში. ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნებამდე ოფიციალურად კოალიცია არ დაიშლება, თუ არ მოხდა სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმები და ამიტომ ხშირი იქნება წკიპურტები, ბნელ მოსახვევში ფეხის დადება.

– ბიძინა ივანიშვილის მიერ წარდგენილ პრემიერობის კანდიდატს საპარლამენტო უმრავლესობა მხარს დაუჭერს თუ შეიძლება ჩაადგოს?

– გამორიცხულია, ჩაგდება. ეს ისე ჟღერს, რომ თითქოს საქართველოში უკვე ევროპული დემოკრატიაა. როგორც მოიქცნენ მარგველაშვილის კანდიდატურის მიმართ, ზუსტად ისე მოიქცევიან.

– ხომ შეიძლება უმრავლესობას მოეწონა მარგველაშვილის კანდიდატურა რეალურად?

– სანთლითაც რომ ეძებოთ, ასეთ არაფექტურ გადაწყვეტილებას ვერ იპოვით. ვინ იფიქრებდა, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი იქნებოდა.

– პრემიერი ივანიშვილი მარგველაშვილზე ამბობს, რომ ევროპული ტიპის პრეზიდენტი იქნება...

– კი, კი მაგაში ვეთანხმები. ევროპული ტიპის ლიდერი იქნება, მაგრამ ევროპული ტიპის პრეზიდენტი ევროპაშია კარგი და არა საქართველოში. ეს განსხვავებაა. მარგველაშვილი გერმანიაში, იტალიაში, ისრაელში ბრწყინვალე პრეზიდენტი იქნებოდა, რომელიც მშვიდია, წყნარია, კონფლიქტური არ არის და არაფერს ეკითხებიან, თავისთვის ცხოვრობს, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტმა არც კი იცის, ვინ არის პრეზიდენტი. როდესაც მარგველაშვილი დასახელდა კანდიდატად, გერმანელებს ვკითხე, ვინ არის მათი პრეზიდენტი, არც ერთმა არ იცოდა. ეს მათ არ აინტერესებთ, არც პრეზიდენტი არის აქტიური, არ ჩნდება ტელევიზიით, არც გაზეთებში იბეჭდება. ასე იქნება მარგველაშვილიც. თავის ახლობლებს, მეგობრებს დაასაქმებს ადმინისტრაციაში.

– ბატონო სოსო, ჯერ ხომ არ ვიცით, როგორ მოიქცევა ის, თუ პრეზიდენტი გახდა?

– როგორ არ ვიცით, მაგალითად, სააკაშვილი ვიცოდით, როგორი აქტიურიც იქნებოდა.

ნინო ბურჯანაძე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეხვდა

საპრეზიდენტო კანდიდატი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობს. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, „შეხვედრა ძალიან თბილ ატმოსფეროში წარიმართა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ისაუბრეს პრობლემებზე, რომლებიც მათ აწუხებთ და უმეტესად, ეს არის აბსოლუტურად იგივე პრობლემები, რაც საქართველოს მთელ მოსახლეობას აქვს“.

„ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თემა გამოიკვეთა, ეს არის სახელმწიფო ენის საკითხი. თანდათანობით იზრდება თაობა, რომელთა ნაწილმაც არ იცის ქართული ენა და ეს მათთვის ძალიან სერიოზული პრობლემაა. მე მათ აღვუთქვი და ეს ჩემს პროგრამაშიც არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რომ ქართული ენა არის და იქნება საქართველოში მაცხოვრებელი ყველა ადამიანისათვის კომუნიკაციის ენა, სახელმწიფო ენა. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა იცოდეს ქართული ენა, შეძლოს ამ ენით სარგებლობა და მაქსიმალურად ჩაერთოს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.მათი მხრიდან ამის სურვილი და მზაობა დიდია, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

თელავში ბურჯანაძის სარეკლამო ბილბორდი დააზიანეს

პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ვალერი შოშიაშვილი მომხდარს „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის გაგრძელებად აფასებს და ეჭვი ამავე პარტიის წევრებზე აქვს.

მისი თქმით, შემთხვევა გვიან ღამით, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოხდა. „ნინო ბურჯანაძის სარეკლამო ბანერი ბასრი საგნებით არის დაზიანებული. სამართალდამცველებს უკვე მივმართეთ და საქმის დაუყონებლივ გამოძიებას მოვითხოვთ“, – განაცხადა შოშიაშვილმა.

პირველი

„მე არსად მივდივარ, მე მოვდივარ და, მინიმუმ, 20 წელი ვიქნები“

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აჭარის მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა, სადაც მან პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი წარადგინა.

„მე მინდა, შეგახსენოთ, რომ ძალიან მაღლა აწიეს ეს თემა რომ მიდისო, მე არსად მივდივარ, მე მოვდივარ. როგორი პროგნოზებიც გვქონდა და ზუსტად როგორც ვარტყამდით, ისე გამართლდა ყველაფერი. მე მინდა, რომ არ დავაზიანოთ გიორგი და არ დავაზიანოთ ჩვენი მომავალი. მე არსად მივდივარ, მოვდივარ და 20 წელი მინიმუმ ვიქნები“, – განაცხადა ივანიშვილმა.

პირველი

გიორგი თარგამაძე რუსთავის მოსახლეობას შეხვდა

როგორც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადა, რუსთავი არა მხოლოდ უმუშევრობის მაღალით დონითაა გამორჩეული, არამედ, მაღალი კომუნალური გადასახადებითაც.

„ტრადიციებით ევროპისკენ“ სვლა პირველ რიგში, ნიშნავს ევროპული კეთილდღეობის მინიმალური სტანდარტების დამკვიდრებას, რაც რა თქმა უნდა, რუსთაველებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რადგან ეს ქალაქი გამორჩეულია არა მხოლოდ უმუშევრობის მაღალი დონით, არამედ, მაღალი კომუნალური გადასახადებით, რაც რუსთაველების ცხოვრების დონეს კიდევ უფრო დაბლა სწევს“, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

პარტიის პრესსამსახურის ცნობით, პრეზიდენტობის კანდიდატმა კონკრეტული გეგმისა და სქემის ჩვენებით მოსახლობასთან საუბრისას ჩამოაყალიბა ის სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც მისაღებია საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების მასობრივი შექმნისათვის და ამ გეგმის წარმატებული განხორციელების მთავარ კომპონენტად კვლავ დაასახელა სახელმწიფოს მიერ ელექტროსისტემაზე მონოპოლიის დამყარება, ახალი მცირე და მსხვილი მასშტაბის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობაში სახელმწიფო ინვესტიციების გამოყენება და შესაბამისად, აქტიური სატარიფო პოლიტიკის წარმოება, რომელმაც ქვეყანაში ენერგო მატარებლებზე ფასების შემცირება უნდა უზრუნველყოს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქციის წარმოებას და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

„ქართული ენერგეტიკა უნდა ჩადგეს ქართველი ხალხის და ქართული ეკონომიკის სამსახურში, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მოიტანოს კეთილდღეობა თითეული ოჯახისთვის, მათ შორის რუსთავში მცხოვრები ოჯახებისთვის“, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

პირველი

შსს-ს თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად სისხლი გაიღეს

აქციის ფარგლებში – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ამავე დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოს ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა იაშვილის სახელობის კლინიკის სისხლის ბანკში გაიღეს სისხლი.

„აღნიშნულ აქციაში სამინისტროს მონაწილეობის მიზანი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებაა. სწორედ ამ მიზნით კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი მ. იაშვილის სახელობის კლინიკის სისხლის ბანკთან უახლოეს მომავალში მემორანდუმს გააფორმებს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

შს მინისტრის ინიციატივით, სამინისტროს თანამშრომლები სისხლს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის მთელი წლის განმავლობაში უანგაროდ აბარებენ.

პირველი

ავერსის დიდი გათამაშება იწყება!

"ავერსის" ერთგული მომხმარებლებისათვის წამახალისებელი გათამაშება პირველად 2009 წელს შედგა და, მას შემდეგ, სასიამოვნო ტრადიციად დამკვიდრდა. ამჯერად, "ავერსი" მეხუთე გრანდიოზულ გათამაშებას გთავაზობთ, რომელიც 30 დეკემბერს "რუსთავი 2"-ის დილის ეთერში გაიმართება.

ავერსის დიდი გათამაშება გამორჩეულია წინა გათამაშებებიდან, რადგან არის შესაძლებელი მომენტალური გათამაშება, რაც საშუალებას მოგცემთ საოცნებო პრიზები აფთიაქში 20 ლარის ღირებულების პროდუქციის შეძენისთანავე მოიგოთ. ამ თანხის დახარჯვის შემთხვევაში საჩუქრად მიიღებთ მომენტალური გათამაშების ერთ ბილეთს, ხოლო შესაბამისი მტრედები ბარათზე დაგერიცხებათ. შეგიძლიათ, ასევე, დაგროვილი 10 მტრედი 1 ბილეთზე გადაცვალოთ, გადაფხიკოთ და მომენტალურად გახდეთ სასურველი პრიზის - ფოტოაპარატის, აიფონის, აიპადის, დოლივას სასაჩუქრე კოსმეტიკური ნაკრების ან ავერსის სასაჩუქრე ბარათის მფლობელი...

ყოველ დაგროვილ 50 მტრედზე საჩუქრად წამახალისებელი გათამაშების 3 ბილეთს მიიღებთ და მათ სანაცვლოდ მტრედები არ ჩამოგეჭრებათ. თუ ვერ გახდით მომენტალური გათამაშების გამარჯვებული, ავერსი გაძლევთ კიდევ ერთ შანსს, რადგან ყველა ბილეთი ერთვება დიდ გათამაშებაში, სადაც შეგიძლიათ მოიგოთ 5-ჯერ 5 000 ლარი, 5-ჯერ 10 000 ლარი და მთავარი პრიზი 20 000 ლარი. ერთგული მომხმარებლებისათვის კი, ვისაც 50-ზე მეტი ბილეთი ექნება დაგროვილი გათამაშდება ორ კაციანი საგზური ხმელთაშუა ზღვაზე.

ილბალი ადამიანებს, ხშირად, მოულოდნელად სწყალობთ და "ავერსის" ოთხივე წინამორბედი გათამაშება გამარჯვებულთათვის, მართლაც, სიურპრიზი და უდიდესი სიხარული გახლდათ.

გათამაშების მონაწილეებს დაგროვილი თანხის და შესაბამისი ბილეთების რაოდენობის შემოწმება შეუძლიათ "ავერსის" აფთიაქებში ან "ავერსის" ვებ გვერდზე www.aversi.ge/card.php

მეხუთე გრანდიოზულ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ბილეთები "ავერსის" აფთიაქებში განთავსებულ ყუთებში 2013 წლის 22 დეკემბრამდე ჩაყარეთ.

იყავით "ავერსის" აფთიაქების ერთგული მომხმარებელი, დააგროვეთ მტრედი ბარათზე თანხა და გახდით უამრავი პრიზის მფლობელი.

მთავარი პრიზი 20 000 ლარი

10 000 ლარი 5 გამარჯვებულს

5 000 ლარი 5 გამარჯვებულს

დაგროვილ 50 ბილეთზე გათამაშდება 2 კაციანი საგზური ხმელთაშუა ზღვაზე

ავერსის დიდი გათამაშება გაიმართება 30 დეკემბერს რუსთავი 2-ის დილის ეთერში

ავერსი AVERSI

ავერსი გისურვებთ მოგებას ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

(+995 32) 2-967-227
www.aversi.ge

ნოდარ ნათაძე: „რუსეთი აფხაზეთს უბრძოლველად დათმობს“

ლაზიკის აშენება სააკაშვილს მოსკოვმა დაუკვეთა

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილის ოცნების ქალაქის, ლაზიკის მშენებლობა დაუშვებელია, რადგან ამგვარი ქალაქის ხელოვნურად შექმნა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობასა და საქართველოს სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, თანაც ამგვარი ქალაქის მშენებლობა რუსეთის ინტერესებში შედის — მისი მშენებლობის დაკვეთა სააკაშვილს რუსეთმა მისცა.

ნოდარ ნათაძეს მომავალში ჩრდილო კავკასიაში რუსეთის დარჩენა ვერ წარმოუდგენია.

მისი პროგნოზით, რუსეთი იმ ტერიტორიის დაცვას ვერ შეძლებს, რომელიც მას დღეს უჭირავს. ამიტომ ის არა მხოლოდ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გავა, არამედ — ჩრდილო კავკასიიდანაც. ეს მაშინ მოხდება, როცა დასავლეთი კავკასიის საზღვრებზე შემოვა, ხოლო შავი ზღვა დაკარგავს რუსულ-თურქული ტბის სტატუსს.

— ანაკლიასთან მილიონიანი ქალაქის მშენებლობის თაობაზე სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინ ისაუბრა. ქართველმა დემოგრაფებმა (კერძოდ, პროფესორმა ანზორ თოთაძემ, რომელიც ყველაძე კვალიფიციურია მათ შორის) დაასკვნეს, რომ აღნიშნული პროექტი საქართველოს სიცოცხლესთან შეუთავსებელია. ნახევარი მილიონი კაცი იქ დასასახლებლად საქართველოს არ ჰყავს. ეს დასკვნა კეთდება სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

ბაში?

– საბჭოთა კავშირის დროს დედამიწის 1/6-ს აკონტროლებდა, მაგრამ მაშინ რუსეთს მოჰყვებოდა ის ინერცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიპოვა. მისი ბირთვული არსენალი თითქმის მონოპოლიური იყო. ერთი იყო ამერიკის, მეორე – რუსეთის. ინგლისს პატარა არსენალი ჰქონდა. ახლა ბირთვული იარაღი სხვებსაც აქვთ. ამ ბირთვული იარაღის წინააღმდეგ სარაკეტო დაცვა ძალიან განვითარებულია. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რომ აქვთ დადგმული, ითვლება, რომ 2019 წლისთვის დასავლეთს ექნება ისეთი სარაკეტო დაცვა, რომ რუსეთის რაკეტებმა შეიძლება შეაღწიოს იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში ანუ სტრატეგიულად დაცული იქნება. რუსეთი იმ პრეტენზიას, რომელიც აქვს და რომელსაც აცხადებს პუტინის პირით, რა თქმა უნდა, ვერ შეინარჩუნებს და ვერ განახორციელებს.

– ბატონო ნოდარ, ჩვენი, როგორც ერის მიზანია, რომ 2100 წლამდეც და საუკუნეთა განმავლობაში იარსებოს, მაგრამ 2100 წლამდე ჩვენ გვაქვს უახლოეს პერიოდში გადასაწყვეტი პრობლემები. ცხინვალისა და აფხაზეთის პრობლემა არ იცდის, რადგან გაუცხოება ხდება. ამიტომ ჩვენი პრობლემების მოგვარების საკითხი 2100 წლამდე არ იცდის.

– 2100 წელი ისე ვთქვი, თორემ, სინამდვილეში, ეს ბევრად უფრო ადრე მოხდება. 1993 წელს შევარდნაძე იყო ელცინთან სალაპარაკოდ, ჩვენც ვახლდით მოსკოვში. ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი იყო. იქ მითხრა, რუსეთის მაღალი თანამდებობის პირმა დერეფანში გამიხმო და მეუბნება, ჩვენ დავკარგავთ ჩრდილო კავკასიას, მაგრამ თქვენ გექნებათ მათთან ომი ანუ რუსებმა მაშინ იცოდნენ, რომ ჩრდილო კავკასიას კარგავდნენ. შემდეგ მოვიდა პუტინი, დაიწყო საშინელი რეპრესიები და დროებით ჩაახშო ჩეჩნების მოძრაობა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მათ შეუძლიათ, შეინარჩუნონ ჩრდილო კავკასია. ახლა რუსმა უკვე იცის, რომ ჩრდილო კავკასიის შენარჩუნება არ შეუძლია. როცა პუტინმა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა, დაიპყრო ჩვენი მიწები, ამით რუსებს იმედი მისცა, რომ თავისი სამფლობელოები გააფართოვა. ახლა ჩანს, რომ ის ამას ვერ გააკეთებს. ჩანს, რომ მსოფლიომ არ აღიარა და მყარი გადაწყვეტილებაა, რომ არც აღიარებს.

– აქედან დასკვნა რა არის? მანამდე, სანამ ის სანუკვარი პერიოდი დადგება, რომ რუსეთი კავკასიიდან საერთოდ წავა, მანამდე შიგნით, საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ოკუპირებულ ნაწილში მთელი პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი.

– აქ ორი ფაქტობრივი გარემოებაა – ერთი, აფხაზეთში დაბრუნება და საქართველოს იურისდიქციის განხორციელება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული აფხაზების თანხმობაზე. ჩვენ იურიდიულად უფლება გვაქვს, არავის არაფერი ვკითხოთ. ჩვენ გვაქვს უფლება, შევუშვათ ერთი სასტვენიანი პოლიციელი და დავამყარებინოთ წესრიგი. ამის უფლება ჩვენ გვაქვს. ამაზე იურიდიულად ვერავინ შეგვეკამათება.

– იურიდიულად, ცხადია, უფლება გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულად ამის გაკეთება როგორ წარმოგიდგენიათ?

– პრაქტიკულად ამის გაკეთება შეიძლება ისე, რომ რუსი აქედან გავიდეს.

– რუსეთი როცა გავა, მაშინ პოლიციას შეიყვან და წესრიგს დაიცავ?

– მე მხოლოდ იურიდიულ მხარეს ვეხები. რუსი წავა მას შემდეგ, რაც დასავლეთი დაიწყებს საზღვარზე შემოსვლას. დასავლეთი მას შემდეგ დაიწყებს შემოსვლას, რაც ბაშარ ასადის პრობლემას მოაგვარებს ანუ მოაცილებს ბაშარ ასადს. ეს გარდაუვალია.

– რუსეთი აფხაზეთიდან უბრძოლველად გავა?

– რასაკვირველია. რუსეთი წავა, რადგან იცის, რომ ამ ტერიტორიას ვერ შეინარჩუნებს, მაგრამ დღესაც არის საშიშროება. პუტინი წაგებული დიქტატორია და ამ თავის მონაპოვრებს ვერ დაიცავს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო ნოდარ, ლაზიკის მშენებლობის დაუშვებლობაზე საუბრობთ?

– დიახ. გაირკვა, რომ იქ ძირითადად ჩინელები დასახლდებიან. ანალოგია გვაქვს. ანალოგია ის არის, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზა, რომელიც ახლა შეჩერდა, დასავლურ ინტერესებთან ძალიან არის დაკავშირებული. დასავლეთის რეალური და კონკრეტული ინტერესია შეუფერხებელი ტვირთბრუნვა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით. როგორც კი ცხადი გახდა, რომ დასავლეთს ეს უნდა, მაშინვე რუსეთის ბრძანებით დაიგეგმა თბილისის ზღვაზე ანუ სტრატეგიულ წერტილში „ჩაინა-ტაურის“ ჩასმა და ჩასვეს კიდეც. იქ კორპუსები ახლაც შენდება. ჩინური ქალაქის თვისება ცნობილია. ციმბირში მიმოფანტულია აუარებელი ასეთი ქალაქი, სადაც ჩინელები ცხოვრობენ. მათთან რუსის მილიცია ვერ შედის და არიან თავისთვის. ჩინეთს არ აქვს დავალება საქართველოზე და რუსეთის სტრატეგიული დავალებით არის ჩასმული ბომბი. ეს არის პრობლემის ერთი მხარე. ამ შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა სასურველია და, რომ გააჩერეს, ძალიან მეწყინა.

– აცხადებენ, ექსპერტიზა ტარდებაო. ბიძინა ივანიშვილი ანაკლიის პორტის პროექტის აღდგენაზე რომ ლაპარაკობს, ეს ძალიან კარგია.

– სააკაშვილი იბრძვის, ლაზიკის პროექტი აამოქმედოს, თუმცა, ივანიშვილს ლაზიკის პროექტისადმი ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვს და ხელისუფლება მხოლოდ ანაკლიის პორტის მშენებლობას აპირებს. ჩემი თეზისია: ძალიან მკვეთრად უნდა გამიჯნო ლაზიკისა და პორტის საკითხები.

– პორტი სადაც შენდება, იქ შენდება ქალაქიც. გამორიცხავთ, რომ ანაკლიაში აშენდეს ქალაქი?

– ქალაქი ბუნებრივად უნდა გაიზარდოს პორტის ბაზაზე. პორტში ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება, ახალი ოჯახი დასახლდება და აიშენებს პატარა ქოხს. მერე ააშენებენ კორპუსებს.

– ანუ თქვენ ხელოვნურად ქალაქის მშენებლობის წინააღმდეგი ხართ?

– დიახ. 500-ათასიანი ქალაქი პორტის ბაზაზე არ გაჩნდება. იქ გაჩნდება 20-50 ათასიანი ქალაქი. ბუნებრივად გაჩენილ ქალაქს საქართველოს დემოგრაფიული რესურსი ეყოფა და ქართველი მოსახლეობა აითვისებს.

– რით ახსნით, რომ სააკაშვილი ახლაც გამოდის და აცხადებს, თითქოს ძალიან დიდი შეცდომა იყო ლაზიკის მშენებლობაზე უარის თქმა?

– ლაზიკის პროექტი სააკაშვილმა წამოიწყო რუსების ბრძანებით. პორტი უნდა აშენდეს. მის გარშემო უნდა აშენდეს და განვითარდეს იმ ზომის ქალაქი, რამდენადაც პორტი გაიზრდება. ენგურის აქეთ-იქით მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული იმისათვის, რომ ქალაქი გაიზარდოს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ – ბუნებრივი გზით. ანაკლიის მშენებლობას სხვა ასპექტიც აქვს – ღრმაწყლიანი პორტი ძალიან საინტერესოა სტრატეგიული თვალსაზრისით. აქ შეიძლება იყოს არაორაზროვანი ინტერესი – აქ შეიძლება ძალიან სწრაფად მოეწყოს საზღვაო ფლოტის ბაზა, როგორც წყალქვეშა ნავებისათვის, ისე წყალზედა ხომალდებისათვის. ამიტომ რუსეთს იქ თავისი დაინტერესება აქვს. როგორც ბოლო წლების პოლიტიკამ დაგვანახვა, რუსეთი არ ერიდება საქართველოს ტერიტორიების ძალით აღებას. შესაძლებელია, რუსეთი ფიქრობს, რომ გადამწყვეტ მომენტში გამზადებული პორტი სამხედრო ძალით აიღოს, რათა აინაზღაუროს ის ფაქტი, რომ დაკარგა ოდესა, როგორც სამხედრო ბაზა. ოდესა დღეს უკრაინის ნაწილია. რუსეთი ასევე აუცილებლად დაკარგავს სევასტოპოლს. რუსეთი სევასტოპოლს, ალბათ, დაკარგავს, როდესაც უკრაინა ძალიან მჭიდროდ იქნება ინტეგრირებული ევროკავშირში.

– ბატონო ნოდარ, ჩვენს ინტერვიუებში აცხადებდით, რომ რუსეთი შავ ზღვაზე გასასვლელს დაკარგავდა. შავ ზღვაზე ამერიკა შემოვიდოდა, რუსეთი კი საერთოდ განიდევნებოდა შავი ზღვიდან განიდევნებოდა. ახლა კი ამბობს, რომ რუსეთის შემოსვლისა და პორტის დაკავების საშიშროებაა.

– ეს არის ძალიან მიმზიდველი სამხედრო ბაზა რუსეთისთვის, მაგრამ მიმზიდველია, ამავე დროს, დასავლეთისთვისაც. ეს არის შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი და, იქ ვინც ბატონობს, მისთვის უკვე რუსეთის ფლოტი სამხედრო თვალსაზრისით მტერია. რუსეთს შავ ზღვაზე პატარა ფლოტი ჰყავს. ამიტომ რუსეთი შესაძლებელია გეგმავს რაღაცას. ახალია ის, რომ რუსეთმა 2008 წლის ომით კურსი აიღო ძალადობით მოქმედებაზე – იმის გაბედვაზე, რომ შეუბრალებლად ჩაერიოს საქართველოს საქმეებში. აქამდე ვერ იღებდა ამ გადაწყვეტილებას. 2008 წელს ღიად მოქმედების გადაწყვეტილება მიიღო. ამიტომ რუსეთისთვის იმგვარი ოპერაცია, მოვიდეს და აიღოს ანაკლია – გამზადებული პორტი – რუსეთისთვის უკვე აქტუალური ხდება. დასავლეთი დაინტერესებულია, ეს პორტი არსებობდეს და იქ გემების შემოყვანა შეეძლოს. ყველაფერი დროსთანაა დაკავშირებული. ანაკლიის პორტის მშენებლობის მიმდინარეობას რაღაც ფორმით უნდა ახლდეს დასავლური დაცვის შემოყვანა აქ, რომ რუსეთმა ვერ გაბედოს ამის გაკეთება. რუსეთს, როგორც სახელმწიფოს და მეორეც – პუტინს, როგორც რუსეთის ლიდერს, ამის ძალიან დიდი ცდუნება აქვს. თუ პუტინმა სამხედრო ჟესტები არ გააკეთა, მას უკვე რუსები ჩათვლიან წაგებულ დიქტატორად. ამიტომ გადააგდებენ და ჩამოახრჩობენ კიდეც. ჩვენთვის ეს ძალიან საშიშია. თუ რუსი შემოვიდა აქ, აქედან მანამდე აღარ გავა, სანამ არ წააგებს მესამე მსოფლიო ომს მთლიანად. მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, მაგრამ გარკვეული ეპიზოდებით.

– რუსეთი, ფაქტობრივად, დიდი ხანია შემოსულია. ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. როდის წააგებს რუსეთი მესამე მსოფლიო ომს?

– რუსეთი შემოსულია იმ პირობებში, როდესაც რასმუსენი ყოველ ორ თვეში ერთხელ ახსენებს, უნდა გაეთრიო საქართველოდან. ახლაც შეახსენა. რუსეთმა იცის, რომ ამ ვითარებას ვერ შეინარჩუნებს. არ არის გამორიცხული, რუსეთის წასვლა აქედან უფრო გვიან მოხდეს, ვიდრე რუსეთის წასვლა ჩრდილო კავკასიის სამხრეთი ზონიდან ანუ ჩეჩნეთიდან, ქისტეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან და ა.შ.

– რაღაც წარმოუდგენელია, რომ რუსეთი ჯერ ჩეჩნეთიდან წავიდეს, ხოლო შემდეგ საქართველოდან?

– როდესაც შავი ზღვა გათავისუფლდება რუსულ-თურქული ტბის სტატუსისაგან ანუ თუ გახდება ღია ზღვა და იქ შემოვა დასავლეთი, რუსეთი უკვე ჩრდილოკავკასიურ ზონას ვეღარ დაიცავს, ჩეჩნებს ვერ დააშოშმინებს, ქისტებს, დაღესტნელებსა და. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებს ვერ დააშოშმინებს. ეს იქნება მსოფლიოს მეთვალყურეობის ქვეშ და აქ რუსი ვერ გაჩერდება. შეგიძლიათ თქვენ ან დედამიწაზე რომელიმე ადამიანმა წარმოიდგინოს, რომ 2100 წელს რუსეთის ხელში იქნება ჩეჩნეთი და კავკასია საერთოდ? მე ამას ვერ წარმოვიდგენ.

– ანუ თქვენი პროგნოზია, რომ ჩეჩნეთი მომავალში აუცილებლად გათავისუფლდება?

– ჩეჩნეთი აუცილებლად გათავისუფლდება.

– ამას ხომ შეიძლება შეუქცევადი პროცესი მოჰყვეს და რუსეთს დაშლის საფრთხე დაემუქროს. თქვენი აზრით, რუსეთი იშლება?

– აუცილებლად. ახლა რუსეთი მეორეხარისხოვანი სახელმწიფოა. მომავალში ის გადავა საშუალო პოზიციაში მეორე და მესამე ადგილს შორის. ბრაზილია ძალიან სწრაფად იზრდება და ძალიან სწრაფად ვითარდება. არაბულ ქვეყნებსაც აქვთ პერსპექტივა. ინდოეთიც ძალიან სწრაფად ვითარდება. ინდოეთი ლამის ჩინეთის რანგში გადის მოსახლეობითაც და განვითარებისაც. ასე რომ, რუსეთი ძალიან ჩამოქვეითდება. რუსი დღეს დედამიწაზე არის 142 მილიონი. ეს არის დედამიწის მოსახლეობის 2%-ზე ნაკლები. უჭირავს დედამიწის მეშვიდედი ანუ თითქმის 15%. რუსეთმა ეს ტერიტორია რომ შეინარჩუნოს, მას უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდება, რომელიც აღნიშნული პროპორციისადმი შესაბამისი არ არის. ამიტომ რუსეთს არავითარი საგარეო წარმატებები აღარ ექნება და იმ ტერიტორიას, რომელიც მას უკავია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიცავს.

– საბჭოთა კავშირის დროს ხომ გაცილებით დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა? ამხელა ტერიტორიის კონტროლი ხომ შეძლო 70 წლის განმავლობაში?

რუსული ოკუპაცია საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმაც გააპროტესტეს

რუსი სამხედროების მიერ საოკუპაციო ზოლის გადმოწევა საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმა ეიფელის კოშკთან გააპროტესტეს, – იუწყება „რუსთავი 2“. აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ პლაკატები წარწერით „დამთავრდეს რუსული აგრესია საქართველოს მიმართ“, „რუსეთი შორს საქართველოსგან“. მათ ასევე გამოიტანეს საქართველოს რუკა წარწერით, „ეს ჩვენი საქართველოა „ და საქართველოს დროშები . აქციის მონაწილეებმა ქართული სიმღერებიც შეასრულეს.

აქციაში მონაწილეობისთვის ქართველები სხვადასხვა რეგიონებიდან ჩავიდნენ. მათი თქმით, ეიფელის კოშკთან მათი შეკრების მიზანი საფრანგეთის ხელისუფლებისა და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ამ პრობლემის მიმართ ყურადღების მიქცევაა.

„საქართველო არის მთლიანი და თავისუფალი. ჩვენ უნდა გავაპროტესტოთ რუსული ოკუპაცია საფრანგეთშიც და მსფლიოშიც და ვთქვათ, რომ საქართველო არის თავისუფალი მიწა, სადაც ადგილი არ აქვს რუსულ არმიას“, – განაცხადა აქციის ერთ– ერთმა მონაწილემ.

ღონისიძეება საფრანგეთში მდებარე წმინდა თამარ მეფის ეკლესიის მრევლისა და ქართული სათვისტომოს ორგანიზებით ჩატარდა.

მედიანიუსი

ანდრო ბარნოვი: „არ შეიძლება, მივიღოთ მონაწილეობა იქ, სადაც ოკუპანტი მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრის“

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ანდრო ბარნოვის განცხადებით, საქართველომ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს იქ, სადაც ოკუპანტი მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრის.

„ოლიმპიადა მშვიდობის, ხალხის თანაცხოვრების და ერთად განვითარების სიმბოლოა და ჩვენ არ შეიძლება, მივიღოთ მონაწილეობა იქ, სადაც ოკუპანტი მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრის. ამას ჩვენი საზოგადოება არ ეთანხმება და თუ ჩვენი პრემიერი და მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი ეთანხმება ამას, მათ შეუძლიათ კერძოდ წავიდნენ და ისე მიიღონ მონაწილეობა და მერე ჩვენ შევაფასებთ მათ ქმედებას სათანადოდ“, – განუცხადა ჟურნალისტებს ბარნოვმა.

სოჭის ოლიმპიადის მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობის გამო, რუსეთის გმირად წოდებული რუსი სამხედრო მფრინავი ივან ნეჩაევი იქნება.

მედიანიუსი

შსს-მ გამოძალვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად 1988 წელს დაბადებული თამაზ ჩ. გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული სხვისი სახელით, სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით, მოქალაქე ნ. ბ-სთან ვირტუალურ ინტიმურ კავშირს ამყარებდა და ჩაწერილი ჰქონდა სექსუალური ხასიათის ვიდეორგოლები. მოგვიანებით თამაზ ჩ. დაუკავშირდა ნ. ბ-ს და მოსთხოვა მისთვის 400 ლარი გადაერიცხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მაკომპრომიტირებელი მასალების სოციალურ ქსელში ატვირთვით დაემუქრა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი ბინიდან კუთვნილი ორი ლეპტოპი ამოიღეს.

პირველი

„შეგვინარჩუნეთ ამერიკაში ქართული ტაძარი!“

სექტემბერში ნიუ-იორკში, წმ. ნინოს სახელობის ქართული ტაძრის სამრევლოს მიერ ჩატარდა მარიამობის ფესტივალი და ამ ტაძრის დაარსებიდან 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი. რომელსაც ქართველებთან ერთად ამერიკელებიც ესწრებოდნენ.

თუ რას ნიშნავს აქ მცხოვრები ქართველებისათვის შუაგულ ნიუ-იორკში ,მსოფლიოს დედაქალაქში ქართული ტაძრის არსებობა და რა ემოციასთანაა იგი დაკავშირებული. როგორ და ვის მიერ ტარდება მსგავსი ღონისძიებები და სხვა რელიგიური დღესასწაულები, შეიტყობთ რეპორტაჟიდან. თუმცა ვერც პოლიტიკაზე ავცდით საუბარს და ტაძრის ირგვლივ შექმნილი პრობლემებიც გავიხსენეთ.

ნინო პასიკაშვილი– ტაძრის საბჭოს თავმჯდომარე, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი:

– მადლობა უფალს ამ ტაძრის არსებობისათვის, რომელიც უდიდესი რამეა ჩვენთვის. ეს არ არის მხოლოდ ტაძარი. ეს არის ჩვენი სულების გადარჩენის სახლი ,სადაც ვსწავლობთ სიყვარულს და ვუზიარებთ ერთმანეთს .სიყვარული ხომ უზენაესია და წმ.ნინოს სახელობის ნიუ-იორკის ტაძარში დიდი სიყვარულია .აქ დიდი ქართული ოჯახი ვართ შეკრებილნი ,მადლობა ამისათვის უფალს ,მადლობა მამა ალექსანდრეს ,თითოეული დაკარგული ცხვარი რომ შეგვაგროვა,ყველა ჩვენგანის სულში რომ ჩაიხედა და გადაგვარჩინა .ეს ტაძარი გვასულდგმულებს და გვაცოცხლებს . დღევანდელი დღე ტრადიციადაა ქცეული ,რომელიც მამა ალექსანდრემ ჩამოაყალიბა ,რათა ერთად შევიკრიბოთ ქართველები ,ვიზეიმოთ, მივესიყვარულოთ და მივეფეროთ ერთმანეთს. რაც შეეხება ფესტივალის ორგანიზაციას, ძირითადად მრევლის ძალებით გაკეთდა, სხვებიც დაგვეხმარნენ, ყველა ქართულმა რესტორანმა შეიტანა წვლილი. ყველას ვეტყვი, რომ საბჭო დიდად აფასებს მათ უდიდეს დახმარებას ფესტივალის მოწყობაში.

ირმა გაჩეჩილაძე – ტაძრის მგალობელი და ნიუ-იორკის ქართული თეატრის მსახიობი:

– ნიუ-იორკში ქართული ეკლესიის არსებობა დიდ ემოციასთანაა დაკავშირებული 15 წლის წინ პირველად რომ მოვედი ამ ტაძარში სულ ვტიროდი. ჩვენი ნავსაყუდელი ჩვენი ტაძარია, სადაც ტკივილს და სიხარულს ვუზიარებთ ერთმანეთს. რაღაცნაირად ღმერთთანა ვართ ჩვენი ძვირფასი მამა ალექსანდრეს დახმარებით ,ეს ის ადგილია ,სადაც მოგვიხარია და ეს მარტო ეკლესია არაა ,ჩვენი სახლიცაა. საქართველოში სულ ვიღაცაა დასახმარებელი ,ამიტომაც გაგვიჭირდა დიდი ხანი ტაძრისათვის შენობის შეძენა .როგორც იქნა გვაქვს ჩვენი ეკლესია ,რომელიც გაურკვევლობაში აღმოჩნდა ამ ბოლოს . იმედია ღმერთი დაალაგებს ყველფერს და ყოველთვის მოგვცემს გაჭირვებულის დახმარების შესაძლებლობას.

თენგიზ მიქაუტაძე – მრევლი:

– თუ რას ნიშნავს აქ ქართული ტაძარი ,ამის გადმოცემა შეუძლებელია. ეს იმედია, რომლითაც ვიძინებთ და ვიღვიძებთ და რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში.შარშან 17 ივლისს 27 წლის ბიჭი დამეღუპა ავტოავარიით ,რომელსაც 2 სექტემბერს ქორწილი უნდა ქჰონოდა .ამ ეკლესიამ დამანახა ჩემი ცხოვრება შვილის დაღუპვამდე და მასწავლა როგორ მეცხოვრა შემდეგ. რამდენიმე წლის წინ ვეძებდი ბერძნულ, თუ რუსულ ეკლესიებს რომ შევსულიყავი. დღეს ჩვენი ტაძარი გვაქვს და ეს ყველაფერია ჩვენთვის. ჩვენ შეიძლება დღეს ვერ ვაცნობიერებთ ხვალ რომ ეს ტაძარი დაიხუროს შვილის დაღუპვის ტოლფასი იქნება ჩემთვის. ყველას ვთხოვ გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს რათა ეს ეკლესია შევინარჩუნოთ.

ზვიად წულავა – ლეიბორისტი:

– ეს ჩვენი ტაძარი მიტოვებულია ჩვენივე საპატრიარქოს და მთავრობის მიერ .ვიცი ,რომ ეს ასე გაგრძელდება. ვნებათა ღელვაა, თუ რატომ არის ეს ტაძარი ამერიკის ,,ქოლგის“ ქვეშ?-არ უნდათ ამის გაგება .თვითონ შეიფარონ ბატონო, თვითონ დააფინანსონ, აქვთ მაგის შესაძლებლობა. იმდენი მილიარდერი და მილიონერი ყავს საქართველოს მსოფლიო მაშტაბით, თუ გნებავთ აქაც ამერიკაშიც. მათ აქვთ იმის საშუალება, რომ შეგვინარჩუნონ ნიუ-იორკში ეს ქართული ტაძარი, იყიდონ ეს შენობა ,რომელსაც თანხის გადაუხდელობის გამო როდის წაართმევს მეპატრონე არავინ იცის. დღეს ეს ტაძარი შემოწირულობების ხარჯზე არსებობს ,რომელიც შეიძლება ერთი თვის გადასახადს შეიძლება ფარავდეს. შეუძინონ ეს შენობა საკუთრებაში -არ შეიძლება? პირიქით, საკითხი სხვაგვარადაა ეკიშპებიან, სხვა ვიღაცას აგზავნიან და ა.შ. ინტრიგების ქსელი რომ გაიბა ნათელია და ეს ყველაფერი მოდის საპატრიარქოდან და მისი ეპისკოპოსებიდან. აქ ჩვენ შვილებთან ერთად დავდივართ, ვეფერებით ერთმანეთს, ვესიყვარულებით. ეს სიყვარული მამა ალექსანდრემ შექმნა ,ის იყო პირველი მოძღვარი .იმედს ვიტოვებთ, რომ სიმართლე მივა უწმინდესის ყურამდე და შეგვინარჩუნებს აქ ქართულ ეკლესიას.

ნიკო ნადირაშვილი, ცნობილი მუსიკოსი, ტრიო „საუნჯის“ ხელმძღვანელი- იწყებს პოლიტიკაზე საუბრით.

– ბატონო ნიკო, ამ უმშვენიერეს რელიგიურ ზეინზე რა შუაშია პოლიტიკა?

– შუაში კი არა თავშია გენაცვალე .16 წელია აქ ვცხოვრობ, მესიამოვნა ქართველთა შეკრება, მაგრამ არ მსიამოვნებს, რომ ამდენი ქართველის შეკრება უცხო მიწაზე ხდება. სწორედ ჩვენი, ძალად პოლიტიკოსების გამოა გადმოხვეწილი 2 მილიონზე მეტი ქართველი აქ და მთელ მსოფლიოში. .არავის არ ვაშინებ. ვაფრთხილებ, მიხედონ ქართველ ერს. თორემ არის ადამიანი ,რომელიც მათ პოლიტიკას აკვირდება და რომელიც მოვა ხელისუფლებაში.

– რას და ვის გულისხმობთ ,ბატონო ნიკო?

– ყველა იმ ვაი პოლიტიკოსს, რომელთა გამოც ორ მილიონ ნახევარი ქართველია გასული საქართველოდან.

– არა ,არა -იმ ადამიანში ვინ იგულისხმეთ ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში?

– საქართველოში მოდა შია მესიანობა, მაგრამ ის კაცი ,,მესია“ არ იქნება, ყველა იცნობს და ყველა ქართველს უყვარს და სწორედ სიყვარული მოიყვანს მას ხელისუფლებაში.

– თქვენ ისე საუბრობთ „იმ კაცზე“ ეტყობა ახლოს იცნობთ, ანდა სულაც თქვენა ხართ.

– რომ გითხრათ ,დაბეჭდავთ?

– რა თქმა უნდა.

– თქვენ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ესაუბრებით,პირდაპირ გეუბნებით ,დასამალი არაფერი არა მაქვს, საქართველო მოემზადოს ნიკო ნადირაშვილის დასახვედრად.

–როგორც ხელოვანის დასახვედრად ხომ?

– ხელოვანის არა, როგორც პრეზიდენტის დასახვედრად, საქართველო ფეხზე უნდა დავაყენო...

–რა ბერკეტები გაქვთ ასეთი სერიოზული ნაბიჯისათვის?

– სიყვარული გენაცვალე. საქართველოს და ჩემი ერის სიყვარული. რა გრძნობითაც სალამურს ვაკვნესებ, იმ გრძნობით მინდა ქართველებს გვერდში დავუდგე..

მანუჩარ კაჭახიძე – ამერიკაში ერთადერთი ქართული გაზეთის „მამულის“ რედაქტორი და ამ ფესტივალის მთავარი სულის ჩამდგმელი:

– ადამიანს სჭირდება ნავსაყუდარი, რომელიც უნდა იყოს უფლის წიაღში. .ჩვენ შეიძლება გვქონდეს სახლი, მაგრამ უმჯობესია უფლის წიაღში ვიყოთ. ემიგრაციაში ქართული ტაძარი არის საიმედო ქოლგა, როცა გაწვიმს და გათოვს, შენ უნდა გქონდეს ადგილი, სადაც მიხვალ და თავს შეაფარებ. ჩვენ ამ 10-15 წლის განმავლობაში გამოვიარეთ ლტოლვილობა, ანტიოქიურ ბერძნულ, რუსულ ეკლესიებში კარდაკარ სიარული და მოვედით საკუთარ ჭერამდე. როცა გაზეთ ,,მამულში“ ამ ჭერის შეძენის ინფორმაცია გავრცელდა, მაშინ ვთქვით ,,მშვიდობა ამა სახლსა უფლისასა“ მაგრამ, ისიც ვთქვით რომ ძნელი არ გახდეს შენარჩუნებათქო და დღეს სწორედ ამ ქარი შხალს გავდივართ. მაგრამ ამ ეკლესიის მიმართ ქარტეხილი მხოლოდ იმისათვისაა, რომ რწმენაში გავძლიერდეთ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი შრომითა და ოფლით შეძენილი ტაძარი, მაგრამ როცა მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლა გვექნება გავლილი. ის უფრო საყვარელი გახდება ჩვენთვის. ასე მგონია, რომ ამ ქარტეხილსაც კარგად გავივლით ქრისტესმიერი სიყვარულითა და ქრისტესმიერი გატანის უნარით. რაც შეეხება ფესტივალის ორგანიზაციას, ეს უკვე ტრადიციაა, მესამედ ტარდება. გავიზარდეთ, სამი წლის წინ უფრო მოკრძალებული იყო, დღეს კი 400 კაცამდეა მოსული. ორგანიზაციაში მრევლის ძალებთან ერთად კარგი ხალხი მიდგას გვერდში, მათ გარეშე მე არაფერი არ ვიქნებოდი. ასევე დაგვეხმარნენ აქ არსებული ქართული ორგანიზაციები ,ჩემი ავტორიტეტი, მამაოს ავტორიტეტი და ასე კეთდება ეს ფესტივალი .ამერიკაში მუსიკა და პურმარილი არავის უკვირს. გვაკლია ერთად ყოფნა ,რომელსაც ავსებს ეს ღონისძიება.

გიორგი პასიკაშვილი, დათო ჯანყარაშვილი. ლალი მინაძე, ზვიად ნასარიძე თან ვეკითხები: რა ხდება, რატომ შეიკრიბეთ, რა მხიარულებაა? ერთხმად მპასუხობენ: გული, გული და სიყვარული.ეს ქართული სიყვარულია ,ქართული გენია და ჯიშია ,რომელიც ქართული ეკლესიიდან და მამა ალექსანდრესაგან მოდის, რომელმაც გვაზიარა ყველა იმ სიკეთეს ,რაც კი შეიძლება ეკლესიაში შევიძინოთ.

–მამა ალექსანდრე, თქვენი ღვაწლი განუზომელია ყველაფერ ამაში და როგორც მოძღვარს რა განწყობა გაქვთ დღეს?

– საიუბილეო და შესანიშნავი. ამინდმაც ხელი შეგვიწყო, ხალხიც მოვიდა. მარიამობისათვის დავაწესეთ ეს ფესტივალი, სექტემბერიც კარგი დროა ამისათვის. ზაფხულში ხალხი მიდის, ამდროს კი შემოსულნი არიან. პირველი წირვა ჩავატარეთ 10 წლის წინ, როცა დავაარსეთ და აი იუბილეს ასე ზარ-ზეიმით აღვნიშნავთ. მადლობა ყველას, ვინც მოვიდა და პატივი მიაგო ჩვენს ეკლესიას. უფლის მადლითა და წყალობით მარიამობის მადლი ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი. მრავალჟამიერ“

ლელა ჭელიძე
„ნიუსპრესის“ ბიურო
ამერიკა-კანადაში

„მარგებელი ჰოლდინგმა“ თბილისობის დღესასწაული „მწნილის ფესტივალით“ აღნიშნა

5-6 ოქტობერს „თბილისობის“ დღესასწაულზე თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს თავისი პროდუქციის ფესტივალი კომპანია „მარგებელი ჰოლდინგმა“ შესთავაზა – „მარნეულის მწნილის ფესტივალი“, რომელიც ფოლკლორულ ანსამბლ „მოძახილით“ დაიწყო და ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

ფესტივალზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ „მარგებელი პროდუქცია“, რომელშიც სხვადასხვა დასახელების პროდუქცია შედიოდა: „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ უგემრიელესი და ქართულ ნედლეულზე დამზადებული მწნილი და საწებელა; „მარნეული აგროს“ ქართულ მიწაზე მოყვანილი კიტრი და პომიდორი; თელეთის „ფერმა მარგებლის“ ნატურალური რძისგან დამზადებული სხვადასხვა სახეობის ყველი. სტუმრებს განუსაზღვრელი რაოდენობის პროდუქციის დაგემოვნების გარდა, მათი შეძენაც შეეძლოთ.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების გარდა, პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა უცხოელ სტუმრებშიც. ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა, თავად მიეღო მონაწილეობა „სახალხო დამწნილებაში“.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მწნილი საკმაოდ პოპულარულია და თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული: სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში. ამასთან, ის ყველგან განსხვავებული და მრავალფეროვანია.

საკვები პროდუქციის დამწნილება ჯერ კიდევ 4.000 წლის წინ დაიწყეს. ინდოეთში პოპულარული იყო კიტრის მწნილის დამზადება, რომელსაც „აჩარს“ უწოდებდნენ. დამწნილება გამოიყენებოდა სეზონური საკვები პროდუქტების შესანახად, ასევე ხანგრძლივი მოგზაურობის დროს საკვების უფრო კომფორტულად ტარებისთვის.

ირინა გაფრინდაშვილი, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი:

– იდეა „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით გაგვიჩნდა, რადგან ყველა კომპანიას საშულება მიეცა, თავისი ბანერი ჰქონოდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, გაგვემრავალფეროვნებინა დღესასწაული და ფესტივალის სახე მიგვეცა. ვიზიტორებს ქარხნის პროდუქციის დეგუსტაციის შესაძლებლობა მიეცათ. სპეციალურად დღესასწაულისთვის მოვიწვიეთ ანსამბლი „მოძახილი“, რომელიც თავისი სიმღერებით კიდევ უფრო ქართულს ხდიდა აქაურობას. ჩვენი მთავარი მიზანია, მომხმარებელს ვაჩვენოთ, რომ ჩვენი პროდუქცია მთლიანად ქართულ ნედლეულზეა დამზადებული და თავად შეუძლიათ ნახონ, თუ როგორ და რისგან მზადდება ჩვენი ნაწარმი.

„მარნეულის სასურსათო ქარხანა“ „მარგებელი ჰოლდინგის“ ნაწილია, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. ქარხანა, რომელიც ევროპული სტანდარტების დანადგარებით არის აღჭურვილი, 50-ზე მეტი დასახელების ქართული ნედლეულისგან დამზადებულ ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქციას უშვებს.

ქარხანას ნედლეულით ჰოლდინგში შემავალი კომპანია „მარნეული არგო“ და ადგილობრივი მცირე სასოფლო მეურნეობები ამარაგებენ. საწარმოს ტექნიკური შესაძლებლობები, ადგილობრივი ნედლეულის მაღალ ხარისხთან ერთად, ქართულ ბაზარს უალტერნატივო პროდუქტს სთავაზობს. ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი ქართულ მიწაზეა მოყვანილი და 100 პროცენტით ადგილობრივია. შესაბამისად, კომპანიის საფირმო ნიშანი M საქართველოში ხარისხისა და ჯანსაღი საკვების სინონიმად იქცა.

როგორია ქართული არქეოლოგიური მისია კუვეიტში?

ეკა ირემაშვილი



როგორია ქართული არქეოლოგიური მისია ქუვეითში? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მისაღებად დაინტერესებული საზოგადოება საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში დავით ლორთქიფანიძემ მიიწვია პრეზენტაციაზე „ქართული არქეოლოგიური მისია ქუვეითში". პრეზენტაცია ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ქუვეითელ პარტნიორებთან და მუზეუმის მეცნიერთა გუნდთან ერთად წარმოადგინა.

– 2010 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ქუვეითის კულტურისა და ხელოვნების ეროვნულ საბჭოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. 2011 წელს კუნძულ ფაილაკაზე პირველი ქართული მისია გაემგზავრა. გაითხარა ბრინჯაოს ხანის ყორღანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ჩატარდა ტერიტორიის მცირემასშტაბიანი კვლევა. 2012 წელს შესწავლილ იქნა არქიტექტურული კონსტრუქციები, კერამიკის ფრაგმენტები და არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩენილი სხვა ნივთები, რომელთა უმეტესობა ადრებრინჯაოს და შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება. ამავე დროს, გრძელდებოდა შემოგარენის კვლევა და გათხრილი ძეგლების ნაწილობრივი კონსერვაცია, – განაცხადა პრეზენტაციაზე დავით ლორთქიფანიძემ.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, მიმდინარე წელს გაგრძელდა გასულ წელს გამოვლენილი ქურების კომპლექსის შესწავლა. გაითხარა სამი ქურა და მათთან დაკავშირებული კონსტრუქციები, რომლებიც სავარაუდოდ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. დაიწყო ისლამური პერიოდის საცხოვრებელი კომპლექსის შესწავლა. დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ათეული ახალი არქეოლოგიური ობიექტი, სხვადასხვა პერიოდის ქვის კონსტრუქციები. ქუვეითის კონტინენტურ ნაწილში ას საბიას მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები, სადაც გამოვლენილია ბრინჯაოს ხანის ობიექტები.

2013 წლიდან არქეოლოგიურ ჯგუფს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქიტექტურული გუნდიც შეუერთდა, რომლის წევრებიც სამუზეუმო კომპლექსის პროექტის შექმნაში მონაწილეობენ. ქვეყნის დედაქალაქში მდებარე სასახლე „დივანიეს" ფიქსაციაკონსერვაციისა და მომავალში მისი რესტავრაციისათვის მოხდა სასახლის 3 დე სკანირება, შეიქმნა სასახლის ზუსტი მეცნიერული 3 დე მოდელი. აღნიშნულ სასახლეზე სამუშაოების დასრულების შემდეგ ქართულ-ქუვეითური საერთაშორისო გუნდი „აღ ყასრის" სასახლის აღდგენისათვის საჭირო არქიტექტურული სამუშაოების დაწყებასაც გეგმავს.

– ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართული არქეოლოგიური მისია მუშაობს არაქართულ ძეგლზე. ქუვეითში მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის არქეოლოგები და პირველად არის, როცა არაევროკავშირის ქვეყანა იღებს მონაწილეობას ამ პროცესებში, აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულება 5 წლიანია, – განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გივი თოიძის საიუბილეო გამოფენა გაიხსნება.

– გივი თოიძე ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც აქტიურად გამოვიდა სახვითი ხელოვნების ასპარეზზე XX საუკუნის 60-იან წლებში. ხელოვნების სამყაროს, ავტორი თავისი ბაბუის, დიდი ქართველი მხატვრის, მოსე თოიძის სახელოსნოში ეზიარა. გივი თოიძის შემოქმედება საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ძველი თბილისისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების პეიზაჟებს მოიცავს. აგრეთვე მის ნამუშევრებს შორის ვხვდებით ნატურმორტებს, პორტრეტებს, ჟანრულ სურათებსა და მრავალფიგურიან კომპოზიციებს. გივი თოიძეს მინიჭებული აქვს არაერთი პრემია, არის თბილისის საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენის კავალერი. ავტორის ნამუშევრები დაცულია ისეთ ცნობილ მუზეუმებში, როგორიცაა: ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა მუზეუმი, პიტერ ლუდვიგის გალერეა და სხვა მრავალი ქვეყნის მუზეუმსა და გალერეაში. მისი ნახატები ინახება ჯორჯ ბუშის, ჟაკ შირაკის და სხვა ცნობილ ადამიანთა კერძო კოლექციებში. გივი თოიძის საიუბილეო გამოფენა ხელოვნების მუზეუმში 3 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

ქართველი ბავშვები გერმანიაში ისწავლიან

ეკა ირემაშვილი

ქართველი ბავშვები გერმანიაში ისწავლიან. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „რეგიონების სამუსიკო სკოლების მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში, ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის მიწვევით, მცხეთის, გორის, ქუთაისის, საჩხერისა და ფოთის რეგიონების სამუსიკო სკოლების მოსწავლეები ფრანკფურტში სასწავლო პროგრამით გაემგზავრნენ.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 10 ოქტომბრამდე გრძელდება, ქართველი მოსწავლეები გერმანელ თანატოლებთან ერთად, ყოველდღიურად დაესწრებიან გერმანელი პედაგოგების მიერ ჩატარებულ ოთხსაათიან მუსიკის გაკვეთილებს, ასევე მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებში.

9 ოქტომბერს ფრანკფურტში სამუსიკო სკოლაში „ოქროს კლავიში" გაიმართება ქართველი და გერმანელი ბავშვების ერთობლივი საჩვენებელი კონცერტი, რომელსაც დაესწრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით. როგორც კულტურის სამინისტროში განაცხადეს, პროექტი ხორციელდება ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის დაფინანსებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გორის, მცხეთის, ქუთაისისა და ფოთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით.

2013 წლის მაისში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ყამბეგაშვილი გერმანელ კოლეგებთან ერთად საქართველოს რეგიონებში იმყოფებოდა. მცხეთის, გორის, ქუთაისის, საჩხერისა და ფოთის სამუსიკო სკოლებიდან გერმანიაში გასამგზავრებლად შეირჩნენ განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები, ამავე პროგრამის ფარგლებში სამუსიკო სკოლებს საჩუქრად გადაეცათ ელექტრო ფორტეპიანოები და მუსიკალური ლიტერატურა.

ფრანკფურტში დაგეგმილ კონცერტზე დასწრებამდე კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სამუშაო ვიზიტი პოლონეთში დაგეგმა, სადაც პირველ მოადგილესთან მარინე მიზანდართან და მინისტრის აპარატის უფროსთან ლევან ხარატიშვილთან ერთად წავიდა. კულტურის სამინისტროს დელეგაციამ მოინახულა ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: ეროვნული მუზეუმი, შოპენის მუზეუმი, ხელოვნების ეროვნული გალერეა „ზაჩეტა", 3 ადგილობრივი ტაძარი, ძველი თეატრი, კულტურული ცენტრი, თანამედროვე ხელოვნების ცენტრის უიაზდოვსკის ციხე-სიმაგრე, ლაზიენკის სამეფო სასახლე, ვარშავის აჯანყების მუზეუმი, ქართველი ჯარისკაცების მონუმენტი. კულტურის სამინისტროს დელეგაციამ შეხვედრა გამართა პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრთან ბოგდან ზდროჟევსკისთან. დაიგეგმა შეხვედრა კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროს გენერალურ დირექტორთან იაცეკ ოლბრიჰტთან და სხვა ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან. ვიზიტი ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებას და პოლონური კულტურის გაცნობას.

პოლონეთში გამგზავრებამდე გურამ ოდიშარია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახლადდანიშნული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში იუე ბინის მიერ აკრედიტებული ელჩებისა და მთავრობის წევრებისათვის სასტუმრო „რადისონში" გამართულ მიღებას დაესწრო. როგორც გურამ ოდიშარიამ მიღებაზე განაცხადა, ჩინეთის კულტურის დღეები წარმატებულად ჩატარდა საქართველოში და ასევე, საქართველოს კულტურის დღეებიც წარმატებული აღმოჩნდა, რომელიც პეკინში გაიმართა. გურამ ოდიშარიამ და იუე ბინმა სამომავლო გეგმებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებაც ისაუბრეს.

კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, სოფელ ნუკრიანის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხური რეწვის, კულინარიისა და შემოქმედების ფესტივალი „ნუკრიანი 2013" ჩატარდა, სადაც წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტში მოქმედი ხალხური რეწვის სახელოსნოების და ინდივიდუალური ოსტატების მიერ შექმნილი პროდუქციების გამოფენა, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, აგრობაზარი, ქართული საბრძოლო ხელოვნების ,,ხრიდოლი" ჩვენება და ფოტო გამოფენა-გაყიდვა. ფესტივალის ფარგლებში დაიგეგმა ტრადიციული ქართული სამზარეულოს გამოფენა და ადგილობრივი ღვინისა და ბიოლოგიურად სუფთა ღვინის გაყიდვა. ფესტივალი „ნუკრიანი 2013" საზეიმო კონცერტით დაიხურა.

– ხალხური რეწვის, კულინარიისა და შემოქმედების ფესტივალი 2009 წლიდან ტარდება და მისი მიზანია ხელი შეუწყოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტურისტული პროცესების გააქტიურებას, სახელოსნოების და ხალხური რეწვის პროდუქციის პოპულარიზაციას, ტრადიციული ხელობების წარმოჩენასა და სოფლის ცხოვრების გამრავალფეროვნებას, – განუცხადეს „ახალ თაობას" კულტურის სამინისტროში.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ოკუპაციის ხაზთან მდებარე სოფლების პატარებთან თოჯინების სახელმწიფო თეატრი სპექტაკლით ჩავიდა. თეატრის დასმა წარმოდგენები სოფელ დვანისა და ახლომდებარე სოფლების პატარებისთვის სპექტაკლი „ბატის ჭუკი" წარმოადგინა. მათ საჩუქრად მიიღეს ქართველი მხატვრის რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ გაფორმებული ინდურ ხალხური ეპოსი „რამაიანა".

როგორც კულტურის სამინისტროში აცხადებენ, ოკუპაციის ხაზთან მდებარე სოფელ დვანში, სკოლის შენობაში, ადგილობრივი და მეზობელი სოფლების ბავშვებისთვის, გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა აქცია-წარმოდგენა გამართა.

სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის მუზეუმში გამოფენა ქართული მოდერნიზმი გაიხსნა. პროექტის ავტორები არიან ირინა პოპიაშვილი, ნინო ასანიძე, მარი გვახარია, გურამ კაპანაძე, მარიამ ლორია და მარიამ წიქარიძე.

– გამოფენა ქართული მოდერნიზმი ნიუ იორკში, კეისი კაპლანის გალერეაში შვეიცარიელი კურატორის დანიელ ბაუმანისა და მისი ქართველი კოლეგების ნანა ყიფიანის, მზია ჩიხრაძისა და თეა ტაბატაძის მიერ 2009 წელს ორგანიზებული გამოფენის „ფანტასტიკური სამიკიტნო. თბილისური ავანგარდი"-ს მასალებზე დაყრდნობით მომზადდა და მიმდინარე პროექტის „იპოვე შენი ფიროსმანი"-ს ფარგლებში ეწყობა, – განაცხადა ირინა პოპიაშვილმა.

მისივე თქმით, ქართული მოდერნიზმი ფიროსმანის თანამედროვე ეპოქის კულტურული ცხოვრების ამსახველია და მირზაანის მუზეუმის დამთვალიერებელს საუკუნის დასაწყისის თბილისის კულტურულ კონტექსტს გააცნობს.

მირზაანის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში გამოფენილი ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გვერდით წარმოდგენილია მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისის ამსახველი ფოტოების, ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწე მოდერნისტებისა და ავანგარდისტების მიერ შესრულებული წიგნებისა და ჟურნალების, ქართველი მოდერნისტების დავით კაკაბაძის, პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის, კირილ ზდანევიჩსა და სხვების გრაფიკული ნამუშევრების ფოტოასლები. პროექტი „იპოვე შენი ფიროსმანი" ხორციელდება „სამხრეთ კავკასიის ხელოვნებისა და კულტურის რეგიონული პროგრამის" ფარგლებში. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

პროექტის „იპოვე შენი ფიროსმანის" ფარგლებში გალერეა „ნექტარში" გამოფენა გაიხსნა, რომელშიც ნათელა გრიგალაშვილი, თუთუ კილაძე, კოტე სულაბერიძე, მიშა შენგელია და ლევან ჭელიძე მონაწილეობდნენ. „ქალაქი, ქათამი, ლორი..." – ასე ეწოდებოდა ექსპოზიციას, რომლის ავტორები კურატორი ირინა პოპიაშვილი და სამხატვრო აკადემიის მაგისტრატურის სტუდენტები ნინო ასანიძე, გურამ კაპანაძე, მარიამ ლორია, მარი გვახარია და მარიამ წიქარიძე იყვნენ. პროექტი რამდენიმე ეტაპად დაიყო და სხვადასხვა სახის აქტივობები გაერთიანა. მისი პირველი ნაწილი – ქალაქი, ქათამი, ლორი... – გალერეა ნექტარში იქნა წარმოდგენილი ჯგუფური გამოფენის სახით. ფოტოებსა და ტილოებზე XIX საუკუნის თანამედროვე მხატვრების მიერ დანახული ფიროსმანის შემოქმედება აისახა. გამოფენა თბილისში გარკვეული პერიოდის განმავლობაში დარჩა, შემდეგ კი ნიკო ფიროსმანის მშობლიურ სოფელ მირზაანში გადაინაცვლა.

გობელენის მუზეუმში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს დამსახურებული მხატვრის მალხაზ კუხალაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, სადაც მისი შემოქმედების ამსახველი წიგნი-ალბომის პრეზენტაცია შედგა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ხელოვანები, სამინისტროს წარმომადგენლები და მიწვეული სტუმრები.

– მალხაზ კუხალაშვილის ნამუშევრები გამოფენილი იყო თბილისში, რიგაში, მოსკოვში, კატმანდუში, ვილნიუსში, კუნძულ დიქსიზე, ღაიფციგში და ინახება კერძო კოლექციებში თბილისში, მოსკოვში, ოტავაში, პარიზში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჟელესში, ვენასა და დრეზდენში. მხატვარი აქტიურად მუშაობს წიგნის გრაფიკაში. გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი, მათ შორის გამოცემები ვაჟა-ფშაველა, გიორგი ლეონიძე, გოდერძი ჩოხელი, გივი ჭიჭინაძე, იბსენი, მატი უნტი, ქართული და გერმანული ზღაპრები, საყმაწვილო ენციკლოპედია, „ქართული მწერლობის" სამტომეული, „დედა ენა", თბილისის ორტომეული. მხატვარი თანამშრომლობს ჟურნალებთან „ჩვენი მწერლობა", „,დილა"'და ,,ნიანგი". მალხაზ კუხალაშვილის მხატვრობით გაფორმებულია მრავალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი. იგი საქართველოს მხატვართა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრია, – განაცხადეს კულტურის სამინისტროში.

განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციოდ ანაოპერაციებს ახრჩებზე ძვლის მკვებავები. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინეჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

„იბერია სტარი“ ელიტ რაუნდს მიღმა დარჩა

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონმა „იბერია სტარმა“ უნგრეთში მიმდინარე უეფას ჩემპიონთა ლიგის მეინ რაუნდის მე-2 ჯგუფის გათამაშება მესამე ადგილით დაასრულა და პირველად არსებობის ისტორიაში ელიტრაუნდის გარეშე დარჩა.

არადა, ტურნირი „იბერიამ“ გამარჯვებით დაიწყო და ბულგარეთის „პრო ვარნა“ 2:1 დაამარცხა. გოლები თოდუასა და ჯვარაშვილის ანგარიშზეა.

მეორე ტურის შეხვედრა „იბერიას“ ბოსნიურ „ტანგო სარაევოსთან“ მოუწია. მატჩი ფუტსალისთვის უჩვეულო ანგარიშით – 0:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ მატჩის თურქმა არბიტრმა შეხვედრის ბოლო წამზე გატანილი გოლი დროის ამოწურვის მიზეზით არ ჩათვალა. მიუხედავად ქართული დელეგაციის პროტესტისა, არბიტრის გადაწყვეტილება საბოლოო აღმოჩნდა.

ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩში „იბერია სტარს“ უნგრულ „დიორი ეტოსთან“ ფრეც აწყობდა, მაგრამ 1:3 დამარცხდა და ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე „დიორი ეტო“ და „ტანგო სარაევო“ გავიდნენ.

ვატო წერეთელი, „იბერია სტარის“ პრეზიდენტი:

– ბოდიშს ვუხდი ჩვენს გულშემატკივრებს – ბოლო 5 წელიწადში პირველად, „იბერია სტარი“ ელიტრაუნდის მიღმა დარჩა. მატჩებს თუ უყურეთ, დაგვეთანხმებით, უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა ფანატიზმამდე მისული თავდადებით ითამაშა. თავდადება ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ როდესაც თავდადება სრულ გულგრილობას აწყდება, დამარცხება გარდაუვალია. თქვენ, ალბათ, ნახეთ ორი არჩათვლილი გოლი, მაგრამ „იბერია“ ამის გამო არ დამარცხებულა. ჩვენ არა უნგრეთში, არამედ საქართველოში დავმარცხდით, როდესაც კლუბს არავინ დაეხმარა. ხვალ და ზეგ პრობლემა კიდევ უფრო გაღრმავდება და ქართულ კლუბს მსოფლიოში აღარავინ ჩათვლის ანგარიშგასაწევ ძალად. მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ ბათუმის პროექტი განხორციელდება და მაშინ მე, ვატო წერეთელი, პირობას ვიძლევი, რომ „იბერია სტარი“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული აუცილებლად გახდება.

დელ ბოსკემ შემადგენლობა დაასახელა

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ მსოფლიოს 2014 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპის, საქართველოსა და ბელარუსის წინააღმდეგ გასამართი მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. ესპანეთის ნაკრები საქართველოს ნაკრებს 15 ოქტომბერს, ქალაქ ალბასეტეში უმასპინძლებს.

„ფურია როხას“ შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: იკერ კასილასი (რეალი), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა), პეპე რეინა (ნაპოლი);

მცველები: რაულ არბელოა, სერხიო რამოსი (ორივე რეალი), ხუანფრანი (ატლეტიკო), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), რაულ ალბიოლი (ნაპოლი), ნაჩო მონრეალი (არსენალი), ალბერტო მორენო (სევილია);

ნახევარმცველები: სერხიო ბუსკეტსი, ჩავი ერნანდესი, ჩესკ ფაბრეგასი (სამივე ბარსელონა), მარიო სუარესი, კოკე (ატლეტიკო), ისკო (რეალი), ხესუს ნავასი, დავიდ სილვა (ორივე სიტი), ხუან მატა (ჩელსი);

თავდამსხმელები: ალვარო ნეგრედო (სიტი), დავიდ ვილა (ატლეტიკო), პედრო როდრიგესი (ბარსელონა);

ასეთი იყო თავდაპირველი შემადგენლობა, მაგრამ შემდეგ ესპანელებს „ნაპოლის“ მცველი რაულ ალბიოლი გამოაკლდა და დელ ბოსკე მის შემცვლელს უახლოეს ხანში დაასახელებს.

„დინამო“ ცვლილებების მოლოდინში

ბოლო დღეებში თბილისის „დინამოში“ ცვლილებები ცვლილებებზე ხდება. ჯერ იყო და, თანამდებობიდან დირექტორი სანდრო შახოვი გაათავისუფლეს, რომელსაც სპორტული დირექტორი ბუბა ტყავაძე მიჰყვა. საუბრები მიდის ახალ მწვრთნელზეც, თუმცა ეს პროცესი როდის მოხდება, ჯერ უცნობია.

ასევე უცნობია ბუბა ტყავაძის შემცვლელიც, თუმცა ვერსიები მრავლად არის.

რაც შეეხება მწვრთნელებს, აქ კულუარულად ორი უმთავრესი კანდიდატია – გია გეგუჩაძე და თემურ ქეცბაია.

გეგუჩაძის კანდიდატურა სწორედ ტყავაძის წასვლის შემდეგ წამოიწია, რადგან მათი ერთად მუშაობა აზრთა შეუთანხმებლობის გამო გამორიცხვის პირას იყო მისული.

ქეცბაიაზე კულუარულად ადრეც საუბრობდნენ. ცვლილებების შემდეგ ეს თემა უფრო აქტუალური გახდა. ერთია, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის დარჩენას ზამთრამდე ვარაუდობენ.

აია გალიდერდა

აია – არმაზი 28:3

აია: ძნელაძე, ს.კვერნაძე, ფრუიძე, ირემაძე (ლოსაბერიძე), აბრამიძე, სინაურიძე (ჯინჭველაშვილი), თ.თუთბერიძე, რატიაშვილი, მატკავა (ტორაძე), ულუმბელაშვილი (ჩხიკვაძე), შალამბერიძე, ჩიტეიშვილი (ძაგნიძე), რევიშვილი, დანგაძე (ცირეკიძე), ყურაშვილი

3 ლელო: ფრუიძე, კვერნაძე, თუთბერიძე;

2 გარდასახვა: სინაურიძე, ჯინჭველაშვილი;

2 ჯ: სინაურიძე (2);

ა: სინაურიძე;

არმაზი: ნიკოლავა, ხუციშვილი, მაჩხანელი, ბროძელი (ჩხაიძე), ლიპარტელიანი (პინაიშვილი), კიკნაძე, აბუსერიძე (მისრიაშვილი); ბეჟიაშვილი (ჯიბლაძე), თაგაური, მარგველანი (ბუკია), ბარბაქაძე (ესართია), არჩუაშვილი, გიგაური, მინაშვილი, სოსელია (კანდელაკი);

ჯარიმა: ნიკოლავა

მატჩამდე ორივე გუნდი ლიდერთა შორის იმყოფებოდა და თანაბარი ქულებით მივიდნენ. აქედან გამომდინარე, დაძაბულ მატჩს ველოდით, მაგრამ მასპინძლებმა იოლად იმარჯვეს და პრემიალური ქულაც მიითვალეს.

მეტეოროლოგიური პირობების გამო მორაგბეებს აქცენტის გადატანა ძალისმიერ ბრძოლაზე მოუხდათ და სწორედ ამ კომპონენტში დაჯაბნეს ქუთათურებმა მეტოქე.

მე-5 წუთზე რიონისპირელებმა ხელსაყრელი ჯარიმა ძელს გაარტყეს, თუმცა იქვე დაეუფლნენ ბურთს, სალელოვედ შეუტიეს და მეტოქემ ისევ ჯარიმის ხარჯზე მოახერხა მათი შეჩერება. უბრძოლველ 3 ქულას „აიამ“ ლელო ამჯობინა, მაგრამ შერკინება ვერ გამოიყენა და შეტევა გაანიავა.

დაწინაურების შანსი თბილისელებსაც მიეცათ, მაგრამ ძელს ამჯერად კიკნაძის დარტყმული ბურთი მოხვდა.

ამდენი „წვალების“ შემდეგ ანგარიშიც გაიხსნა. მასპინძლებმა ჯარიმის დარტყმაზე ისევ უარი თქვეს, ბურთი აუტში გადაიტანეს, შემდეგ დერეფანში ბურთი მოიგეს და მეტოქეს მძლავრი ბიძგით უკან დაახევინეს. საკუთარ ჩათვლის მოედანთან თბილისელები ისევ დაჯარიმდნენ – აქ კი მასპინძლებმა უკვე კარში დაარტყეს. სინაურიძემ მისი მონაგარი ჯარიმითვე მალევე გაზრდა – 6:0.

„არმაზმა“ იგრძნო, რომ ასე თამაში არ გამოადგებოდა და თავად შეუტია, რამაც დაცვა ოდნავ მოაშიშვლა, რითიც კარგად ისარგებლეს ქუთაისელებმა. ძნელაძე შეთხელებულ დაცვაში 4 მეტოქეს გაექცა, ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფ ფრუიძეს გადააწოდა, რომელმაც ძელებს შორის დაამიწა. გარდასახვა სინაურიძემ ზუსტად შეასრულა – 13:0.

ტაიმის ბოლოს სტუმრებმა მაინც მოახერხეს ქულები აეღოთ – ნიკოლავამ ჯარიმა გაიტანა და „არმაზისთვის“ ეს გამოდგა მაქსიმუმი.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე სინაურიძემ თავისიანების ლამაზი კომბინაციის შემდეგ არეკნი დაარტყა და ბურთი კარის ძელებს შორის გააძვრინა – 16:3, რასაც მალევე კვერნაძის ლელო მოჰყვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სინაურიძის გარდასახვა ამჯერად არაზუსტი იყო.

რიონისპირელების უპირატესობა კომფორტული კი იყო, მაგრამ პრემიალურ ქულაზე დაიწყეს თამაში, რამაც შედეგი ბოლო წუთზე გამოიღო – მასპინძლებმა დერეფანში ბურთი მოიგეს და მეტოქეს მიწოლით უკან დაახევინეს, შემდეგ მეორე ფაზით შეუტიეს და თუთბერიძემ ჩათვლის მოედანში მაინც შეაღწია – 28:3.

არმია – ჯიქები 18:18

არმია: კობახიძე (ელიზბარაშვილი 62) გაგოშვილი, ჯიმშელაძე, ჩხიკვაძე, გაბროშვილი, აფციაური, ღვინჯილია; ზაქაშვილი, მამუკაშვილი (თხილაიშვილი 52), გურგენიძე, აზალაძე (უჩავა 70), ბ.ბიწაძე (აბესაძე 53), კალმახელიძე, თავართქილაძე (დარასელია 52), მაისურაძე

2 ლელო: გაგოშვილი, ჩხიკვაძე;

გარდასახვა: კობახიძე;

2 ჯარიმა: აფციაური

ჯიქები: სვანიძე, ნ.ბიწაძე, ბერძული, კუპრეიშვილი, ჯიმუხაძე, გიორგაძე, ნადირაძე; გაგნიძე (ხატიაშვილი 45), მამრიკიშვილი (სვანიძე 45), ოქრიაშვილი (ჯინჭარაძე 62), გოგოლიძე, მჭედლიშვილი, შენგელია, ტუჩაშვილი, სუხაშვილი (მოგელაშვილი 58)

6 ჯარიმა: გიორგაძე

მატჩს დრამატულობას ავჭალის სტადიონზე „ტრადიციული“ ქარი მატებდა, რომელიც შეხვედრის პირველ ნახევარში არმიელთა სასარგებლოდ ქროდა. მეორე ნახევარში კი „ჯიქებს“ უწევდა დახმარებას. ერთია, არმიელებმა ორივე ტაიმში მოახერხეს ლელოს გატანა, რაც „ჯიქებმა“ საერთოდ ვერ მოახერხეს, მაგრამ ზუსტად დარტყმული ჯარიმების წყალობით ფრეს გამორჩნენ.

ყოჩები – ხარები 27:14

ყოჩები: მახარაშვილი, გოგოლაშვილი, ხუციშვილი (ხვისტანი 77), გაბუნია, ხარშილაძე, სოხაძე, ბეგაძე; გოგიშვილი (ესაკია 43, გარუჩავა 79), ხიდეშელი (ცუცქირიძე 55), შენგელია (ჯინჭარაძე 69), წიკლაური (ტვილდიანი 40), გრძელიშვილი, აფციაური, ტყეშელიაძე, ჩხიკვაძე

3 ლელო: გოგოლაშვილი (2) შენგელია;

3 გარდასახვა: სოხაძე

ჯარიმა: სოხაძე;

არეკნი: სოხაძე

ხარები: თეგეთაშვილი, მელიქიშვილი, ბ.ბებიაშვილი (ღამბაშიძე 67), ნათელაშვილი, გ.ბებიაშვილი, ბასილაია, ბუჯიაშვილი; მაჭარაშვილი (გოგოლაძე 79), აღაშვილი (ზურიკიშვილი 80), წიკლაური, ხელია, ქარუხნიშვილი, ღამბარაშვილი, თედელური, მღებრიშვილი

2 ლელო: ნათელაშვილი;

2 გარდასახვა: ბასილაია;

მაყურებელმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველი ნახევარი უფრო სანახაობრივი გამოდგა და ხუთივე ლელოც მაშინ გავიდა. „ყოჩები“ 21:0 დაწინაურდნენ და თითქოს პრემიალურ ქულასაც გამოჭკრავდნენ ხელს, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ნათელაშვილი, რომელმაც ორი ლელოთი სხვაობა შეამცირა.

მეორე ტაიმში ბოლნისელები მხოლოდ ჯარიმას და არეკნს გამორჩნენ და საბოლოოდ, 27:14 იმარჯვეს.

სატურნირო ცხრილი:

1.აია	5	4	0	1	90:52	19
2.ყოჩები	5	3	1	1	114:81	15
3.ლელო	4	3	0	1	120:57	15
4.არმაზი	5	3	0	2	109:94	14
5.ლოკომოტივი	4	3	0	1	68:65	12
6.არმია	4	2	1	1	92:65	11
7.ჯიქები	5	1	2	2	95:97	10
8.აკადემია	3	0	0	3	24:79	1
9.ხარები	4	0	0	4	53:119	1
10.ბათუმი	3	0	0	3	29:85	0

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ევერტონი	3:1
კარდიფი-ნიუკასლი	1:2
ლივერპული-კრ.პალასი	3:1
ფულემი-სტოკი	1:0
ჰალი-ასტონ ვილა	0:0
სანდერლენდი-მანჩესტერი	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	7	5	1	1	11:5	16
2.არსენალი	6	5	0	1	13:7	15
3.სიტი	7	4	1	2	17:8	13
4.ტოტენჰემი	6	4	1	1	6:2	13
5.ევერტონი	7	3	3	1	10:9	12
6.ჩელსი	6	3	2	1	7:3	11
7.საუთჰემპტონი	6	3	2	1	5:2	11
8.ჰალი	7	3	2	2	5:7	11
9.მანჩესტერი	7	3	1	3	10:9	10
10.ასტონ ვილა	7	3	1	3	9:8	10
11.ნიუკასლი	7	3	1	3	9:12	10
12.ვესტ ბრომვიჩი	6	2	2	2	6:5	8
13.კარდიფი	7	2	2	3	7:9	8
14.სუონსი	6	2	1	3	8:9	7
15.ნორვიჩი	6	2	1	3	4:6	7
16.სტოკი	7	2	1	4	4:7	7
17.ფულემი	7	2	1	4	5:9	7
18.ვესტ ჰემი	6	1	2	3	4:5	5
19.კრ.პალასი	7	1	0	6	5:13	3
20.სანდერლენდი	7	0	1	6	5:16	1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ბოლტონი	1:2
ბარნლი-რედინგი	2:1
ბორმნუთი-მილუოლი	5:2
დერბი-ლიდსი	3:1
დონკასტერი-ლესტერი	1:0
ქპრ-ბარნსლი	2:0
მიდლსბრო-იოვილი	4:1
ჰადერფილდი-უოტფორდი	1:2
უენსდი-იფსვიჩი	1:1
ბრაიტონი-ნოტინგემი	1:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ელჩე-ესპანიოლი	2:1
რაიო-სოსიედადი	1:0
ლევანტე-რეალი	2:3
ბარსელონა-ვალიადოლიდი	4:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	8	8	0	0	28:6	24
2.ატლეტიკო	7	7	0	0	19:5	21
3.რეალი	8	6	1	1	16:9	19
4.ვილიარეალი	8	5	2	1	15:7	17
5.ბილბაო	7	4	0	3	12:12	12
6.ვალენსია	7	4	0	3	10:10	12
7.ესპანიოლი	8	3	2	3	11:11	11
8.ხეტაფე	7	3	1	3	9:9	10
9.ლევანტე	8	2	4	2	8:14	10
10.მალაგა	8	2	3	3	11:7	9
11.ელჩე	8	2	3	3	8:11	9
12.ბეტისი	7	2	2	3	7:7	8
13.გრანადა	8	2	2	4	5:8	8
14.სოსიედადი	8	1	4	3	6:9	7
15.სევილია	7	1	3	3	11:13	6
16.სელტა	7	1	3	3	7:10	6
17.ვალიადოლიდი	8	1	3	4	7:13	6
18.ოსასუნა	8	2	0	6	6:13	6
19.რაიო	8	2	0	6	6:21	6
20.ალმერია	7	0	3	4	10:17	3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლას პალმასი-კორდობა	2:0
ნუმანსია-ხიხონი	0:0
დეპორტივო-მირანდესი	0:0

იტალია. სერია ა

კიევო-ატალანტა	0:1
ინტერი-რომა	0:3

სატურნირო ცხრილი:

1.რომა	7	7	0	0	20:1	21
2.ნაპოლი	6	5	1	0	14:4	16
3.იუვენტუსი	6	5	1	0	11:4	16
4.ინტერი	7	4	2	1	16:6	14
5.ფიორენტინა	6	3	2	1	13:7	11
6.ლაციო	6	3	1	2	11:10	10
7.ვერონა	6	3	1	2	9:9	10
8.ატალანტა	7	3	0	4	9:10	9
9.ლივორნო	6	2	2	2	8:6	8
10.მილანი	6	1	2	2	11:10	8
11.ტორინო	6	2	2	2	8:8	8
12.უდინეზე	6	2	1	3	7:8	7
13.კალიარი	6	1	4	1	8:9	7
14.პარმა	6	1	3	2	8:11	6
15.ჯენოა	6	1	1	4	5:10	4
16.კატანია	6	1	1	4	4:10	4
17.კიევო	7	1	1	5	5:13	4
18.ბოლონია	6	0	3	3	7:16	3
19.სამპდორია	6	0	2	4	4:10	2
20.სასუოლო	6	0	2	4	4:18	2

იტალია. სერია ბ

აველინო-ბარი	1:0
ბრეშა-პალერმო	1:1
კარპი-ჩიტადელა	0:1
ნოვარა-ლანჩანო	0:3
პესკარა-სპეცია	1:1
ტერნანა-იუვე სტაბია	1:1
ტრაპანი-ლატინა	1:1
ჩეზენა-სიენა	1:1
ემპოლი-მოდენა	2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-დორტმუნდი	2:0
ვოლფსბურგი-ბრაუნშვაიგი	0:2
მაინცი-ჰოფენჰაიმი	2:2
შალკე-აუგსბურგი	4:1
შტუტგარტი-ვერდერი	1:1
ლევერკუზენი-ბაიერნი	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	8	6	2	0	15:3	20
2.დორტმუნდი	8	6	1	1	21:7	19
3.ლევერკუზენი	8	6	1	1	18:8	19
4.გლადბახი	8	4	1	3	19:13	13
5.ჰერტა	8	3	3	2	14:9	12
6.შტუტგარტი	8	3	2	3	16:10	11
7.შალკე	8	3	2	3	14:17	11
8.ვერდერი	8	3	2	3	9:12	11
9.ჰოფენჰაიმი	8	2	4	2	19:19	10
10.ჰანოვერი	8	4	1	3	11:11	10
11.მაინცი	8	3	1	4	12:17	10
12.აუგსბურგი	8	3	1	4	9:15	10
13.ვოლფსბურგი	8	3	0	5	9:11	9
14.აინტრახტი	7	2	2	3	10:12	8
15.ჰამბურგი	7	1	2	4	12:19	5
16.ნიურნბერგი	7	0	5	2	9:12	5
17.ბრაუნშვაიგი	8	1	1	6	5:18	4
18.ფრაიბურგი	6	0	3	4	8:17	3

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დინამო-ალენი	2:0
კარლსრუე-კიოლნი	1:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონაკო-სენტ ეტიენი	2:1
ვალანსიენი-რეიმსი	1:1
გენგამი-რენი	2:0
ლილი-აიაჩო	3:0
ნანტი-ევიანი	3:0
ტულუზა-ნიცა	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	9	6	3	0	16:5	21
2.პსჟ	8	5	3	0	12:4	18
3.მარსელი	8	5	2	1	12:5	17
4.ლილი	9	5	2	2	11:4	17
5.ნანტი	9	5	1	3	14:8	16
6.ნიცა	9	4	2	3	11:10	14
7.სტ.ეტიენი	9	4	1	4	12:11	13
8.რეიმსი	9	2	6	1	7:6	12
9.ბასტია	9	3	3	3	11:11	12
10.რენი	9	3	3	3	8:10	12
11.ტულუზა	9	3	3	3	7:10	12
12.ლიონი	8	3	2	3	12:7	11
13.გენგამი	9	3	2	4	12:10	11
14.მონპელიე	8	1	6	1	9:11	9
15.ევიანი	9	2	3	4	10:17	9
16.ბორდო	8	1	4	3	7:11	7
17.აიაჩო	9	1	4	4	7:12	7
18.ლორიენი	9	2	1	6	7:15	7
19.სოშო	8	1	2	5	6:14	5
20.ვალანსიენი	9	1	1	7	5:15	4

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

კრეტეი-ანჟე	0:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

იგლზი-ნაიმეგენი	4:3
როდა-ზვოლე	0:0
ბრედა-ერაკლესი	2:1

პორტუგალია. ა ლიგა

ბელენენსესში-ოლჰანენსე	2:0
სპორტინგი-სეტუბალი	4:0

რუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-კრასნოდარი	0:2
კრ.სოვეტოვი-ლოკომოტივი	2:2
სპარტაკი-ტერეკი	0:0
ცსკა-დინამო	0:2

მოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-კილმარნოკი	1:0
როსი-აბერდინი	1:0
სელტიკი-მოზერველი	2:0
სტ.ჯონსონი-ინვერნესი	4:0
ჰარტსი-სტ.მირენი	0:2

მვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-იანგ ბოიზი	2:2
ციურიხი-ლუცერნი	0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-რიდი	1:1
ინსბრუკი-ადმირა	3:3
გროდიგი-შტურმი	0:1

ბელგია. პროლიგა

ბრიუგე-ლეუვენი	1:0
შარლერუა-ლოკერენი	2:1
მეხელენი-სერკლი	1:2
ლიერსი-მონსი	2:1
ბევერენი-ოსტენდე	2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-გაზიანთები	0:1
ქონია-ქაისერი	1:0
ესკიშეჰირი-ბურსაში	0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ატრომიტოსი	2:2
ერგოტელი-პლატანიასი	3:1
პანიონიოსი-არისი	1:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი

იაგელონია-კრაკოვია	1:2
პოგონი-გურნიკი	1:4
პოდბესკიეიე-ლეხი	0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ჰოვერლა-ზარია	0:0
მეტალურგი(ზ)-კარპატი	1:3
შახტარი-არსენალი	7:0

დანია. სუპერლიგა

რანდერსი-ორხუსი	2:2

ორხუსელთა მეორე გოლი მათე ვაწაძემ გაიტანა

შვედეთი. აღსვენსკა

ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	0:0
ნორჩიოპინგი-კალმარი	0:1

ნორვეგია. ტიპლიგა

ვიკინგი-ულფი	1:1
სტრომგოდსეტი-ვალერენგა	2:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ლახტი-მარიეჰამნი	5:1
ინტერი-ჯჯკ	2:0

აშშ. მლს

ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი	2:2
კოლამბუსი-კანზასი	0:1
ფილადელფია-ტორონტო	1:0
სოლტ ლეიკი-დალასი	1:1
კოლორადო-სიეტლი	5:1

ბრაზილია. სერია ა

ბოტაფოგო-გრემიო	0:1
სან პაულუ-ვიტორია	3:2

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ოლიმპო-ესტუდიანტესი	1:1
ქილმესი-ოლდ ბოიზი	0:2
სან ლორენცო-ტიგრე	0:0

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ახალგაზრდა მხატვრებმა ცნობილი ქართველები დახატეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დან დავაკვირდე როგორ დადის, რა აცვია, რას გამოხატავს მისი მანერები, რას ფიქრობს, შთაბეჭდილებებით ვივსები და აღფრთოვანება მეუფლება. ის დღეს ჩემი სახელოსნოს სტუმარია, ჩემი ნატურაა. შემოდის, დგება, შეპარვით მაკვირდება, ვაკვირდები მისი თითოეული ნაოჭის ხასიათს, თვალების შუქს, ცხვირის ფორმას, ყვრიმალებს, სასაუბროდ მომზადებულ ტუჩებს, ნიკაპს, ყურებს, ვაკვირდები ცალ-ცალკე და მთლიანობაში. მოლბერტზე ფერებით გაჟღენთილი ტილო ვეღარ ითმენს, თავისკენ მიზიდავს, საერთო გიჟური აფეთქება... და იწყება კონტურების უხეში და კატეგორიული გადატანა ტილოზე, ტილოზე ნელ-ნელა მიცოცავს მისი ფიზიკური მსგავსება, მაგრამ სურათი ითხოვს... სულის ჩასაბერად ეს არ კმარა. ადამიანს სულში უნდა ჩახედო, დაიჭირო მისი ხასიათის ერთი დეტალი, მაინც უნდა როგორმე დაიახლოვო, გაიშინაგანო მისი ბუნება, გაიგო რა სტკივა, რა აწუხებს, რა უხარია, რით ტკბება, რას გამოხატავს მისი მოძრაობა, პლასტიკა. ადამიანი უნდა გიყვარდეს, რომ გაუგო და ტილოზე მოყვე ის, რისი თქმაც შენ გინდა, რაც გინდა რომ აუწყო სხვებს, საზოგადოებას, ყველაზე ზუსტად ისევე, როგორც არტისტი, მხატვარიც შედის გმირის სამყაროში, ასახავს მის მწუხარებას, მის სიხარულს, მის ენერგიას და ცნობიერების სიმაღლეს. ეს პროცესი, როდესაც მუშაობა დასრულდება, მხატვრისთვის შეუცნობელია. საოცარია მხატვრის და ნატურის უხმო დიალოგი, უხერხულ სიჩუმეში დაბადებული ნაწარმოები. ამ საოცარ გარემოში მქნიდა 11 მხატვარი ჩვენთვის საყვარელი თბილისელების პორტრეტებს. ეს ის ადამიანები არიან, ვინც ქართული კულტურის ისტორიას ახალი ფურცლები შემატა და მომავალ თაობებს დაუტოვა დიდი სულიერი განძი. ამ პროექტის მიზანი იყო შეგვექმნა ცნობილი ხელოვანების პორტრეტები ტილოზე, აგვესახა ერთი ცოცხალი წამი და მასში ჩატეული მთელი ცხოვრება. თბილისის მერიის მხარდაჭერით ჩვენმა ორგანიზაციამ „ხელოვნების ენა“ და ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციამ „ხელოვნების ქალაქი“ ერთად განახორციელა ეს პროექტი, ახალგაზრდა რეჟისორმა სალომე გონაშვილმა გადაიღო მხატვრულ დოკუმენტური ფილმი, სადაც ასახულია მუშაობის პროცესი და საინტერესო მომენტები ამ ადამიანების ცხოვრებიდან. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის საინტერესოა დამსახურებული ხელოვანების პორტრეტების ხილვა ისინი ხომ ჩვენი დღევანდელობის შემოქმედები არიან. მადლობა თბილისის მერიას და მთელ შემოქმედებით გუნდს მხარდაჭერისთვის, ვინც ენერგია არ დაიშურა ამ პროექტის განვითარებისთვის.

მარეხ კეზუა, პროექტის ორგანიზატორი:

– ეს გამოფენა თბილისელებს მიეძღვნათ, ამ საოცარ ქალაქს არაერთმა პოეტმა მიუძღვნა დაუვიწყარი ლექსი. პოეტების ასეთ თაყვანისცემას დედაქალაქისადმი ამ წიგნის ფურცლებზე შეკრებილი ჩვენი ქვეყნის რჩეული შვილებიც იზიარებენ და ის ახალგაზრდა მხატვრებიც, ცნობილი თბილისელების პორტრეტების შექმნით უფროსი თაობის ხელოვნებისადმი თაყვანისცემა რომ დაამტკიცეს. დიახ, ამ წიგნში იმ ადამიანების ფოტოებსა და პორტრეტებს შეხვდებით, რომლებიც საკუთარი ღვაწლით და შემოქმედებით თბილისს ამშვენებენ და სიყვარულის წილ სიყვარულს იმკიან.

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:

– ყველა მხატვარს თავისი ხედვა აქვს, ეს შემოქმედებითი პროცესია. მან ასე დამინახა და არ არის ცუდი. ბევრმა აღნიშნა, რომ კარგი ნამუშევარია. მიხარია, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრები გამოჩნდნენ და ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ჩვენმა მერიამ და სხვადასხვა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს საღამო შემდგარიყო. ჩემი პორტრეტი კახა კუხალაშვილმა შექმნა, სამივე ძმა მხატვარია. თვითონ ნანობდა, რომ ერთი სეანსი ჩავატარეო, უფრო მეტი სეანსის ჩატარება უნდოდა. კონცერტი უნდა მქონოდა დუბნაში, მოსკოვთან ახლოს, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო არ შედგა, ჩემთვის არ დაურეკავს, რომ დაერეკა, სეანსი კიდევ გვექნებოდა და თვითონაც კმაყოფილი იქნებოდა. პროცესი ძალიან მომეწონა, ძალიან სასიამოვნო იყო, სიახლით სავსე და ორიგინალური. მხატვრების მუზა ადრე არასოდეს გავმხდარვარ, მოქანდაკეების – კი. პირველი ქანდაკება თემურ ჭყონიამ გააკეთა, მერე მერაბ მერაბიშვილმა, შემდეგ უკვე გივი მიზანდარმა. ასე რომ, ჩემი სამი ქანდაკება შესრულებულია და მხატვრობა და ქანდაკება ჩემთვის უცხო არ არის. მპირდებიან თაზო ხუციშვილი, გივი თოიძე, რომ იმუშავებენ ჩემთან და ვნახოთ, რა როგორ იქნება.



თენგიზ უთმელიძე, მოცეკვავე:

– ყველა მხატვარს თავისებური ხედვა აქვს. უკმაყოფილო არ ვარ, ძალიან კარგი ნახატი გამოვიდა.

– სხვა მხატვრებსაც დაუხატიხართ?

– აქამდე არავის დავუხატივარ, არ მქონია ეს ბედნიერება. ამ ნახატში მიხვდებით, რომ მე ვარ, მგავს ნამდვილად. ნახატის გვერდით ჩემი ფოტოც არის გამოფენილი ჩოხაში და კიდევ არის ფოტო, რომელშიც ნინო რამიშვილთან ერთად ქართულს ვცეკვავ. ძალიან კარგი და ორიგინალური გამოფენა გამოვიდა. მუზეუმში გამოფენის გახსნაზე აჩვენეს ფილმი, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა გადაიღო და მასში ასახულია თუ როგორ იქმნებოდა ეს სურათები. ყველა არ გადაუღიათ, მაგრამ მთლიანობაში საინტერესო ფილმია.

– თქვენ ვინ დაგხატათ?

– მე გიორგი ელბაქიძემ დამხატა. ჩემთან სახლში მოვიდა და ძალიან ნერვიულობდა, ძლივს დავაწყნარე. ეს არ იყო კონკურენცია, მაგრამ ძალიან განიცდიდა. როგორც მითხრა, თქვენმა პორტრეტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ყველას მოეწონაო. ხასიათი დაჭერილი აქვს და რომ ვუყურებ მომწონს. გამოფენილ ნახატებში ზოგიერთს ვერ იცნობთ, ზოგიერთის კი ხასიათია დაჭერილი, ყველა ნამუშევარი საინტერესოა, უფრო ჯემალ კუხალაშვილის სტილი იგრძნობა. ყველა ახალგაზრდა მხატვარს თავისებური ხედვა აქვს. საინტერესო ჩანაფიქრი აქვთ, ახლებური და არ არის გამორიცხული, გაიმეორონ. როგორც თვითონ გამოფენის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ეს გამოფენა თბილისელებს მიეძღვნათ.

ირმა სოხაძე, მომღერალი:

– ამ პროექტის ფარგლებში ჩემი ორი პორტრეტი შეიქმნა. გიორგი ელბაქიძემ და ვანო კეზუამ დამხატეს. ვანომ თვითონვე აღიარა, რომ ცოტა დრო ჰქონდა ჩემთან სამუშაოდ და არ არის მაინცდამაინც კმაყოფილი. 15 წუთში შეუძლებელია ადამიანი დაიჭირო და დახატო, გიორგი ელბაქიძის სერიოზული პორტრეტია და ძალიან მომწონს. იმდენი დრო ნამდვილად არ გვქონია, რომ მხატვრებს რამენაირად გავეწვალებინეთ, სულ რაღაც ნახევარი საათი შევხვდით ერთმანეთს, ვიჯექი და მხატავდნენ ორივენი. ელბაქიძეს უფრო მეტი დრო ჰქონდა და თავისუფლად იმუშავა, კეზუა ძალიან გვიან დაჯდა და ცოტა დრო ჰქონდა. მთავარია, რომ კარგი პროექტია. ძალიან დიდი მადლობა ყველას ვინც მასში ჩემი ჩართვის სურვილი გამოთქვა. ბევრი ჩემი პორტრეტია აქამდეც დახატული ცნობილი მხატვრების მიერ, ასე რომ, ჩემთვის მხატვრებთან მუშაობა უცხო ხილი არ არის. ხშირად მთავაზობენ, რომ დამხატონ და უარს არც მე ვამბობ, იმიტომ რომ ეს ყველაფერი კარგი და სასიამოვნო პროცესია.

ომარ მხეიძე, მოცეკვავე:

– ძალიან მომწონს ეს ნახატი, ესკიზიც მომეწონა, მაგრამ დასრულებულიც არაჩვეულებრივია. საოცრად კარგი მოფიქრებაა, ცნობილი ადამიანების პორტრეტების დახატვა ახალგაზრდა მხატვრების მიერ. ძალიან კმაყოფილი ვარ, განწყობა იყო საოცრად კარგი გამოფენაზე, თუნდაც მუშტაიდში რომ ვიყავით და ვმუშაობდით, ძალიან დიდი სითბო ტრიალებდა, ატმოსფერო იყო ძალიან სასიამოვნო, ამდენი ღვაწლმოსილი ადამიანები ისხდნენ სხვადასხვა ადგილას და ახალგაზრდა მხატვრები მათ აფიქსირებდნენ ტილოზე. ჩემი მხატვარი გი ბიბილეი შვილი ძალიან კარგი ადამიანია, პატარა ბიჭია, არაჩვეულებრივი ადამიანი, ინტელიგენტი ბიჭია, სასიამოვნო საუბარი იცის.

– მუშაობის პროცესში ხომ არ განვალდით?

– არა. ძალიან ნიჭიერები არიან მხატვრები და თავისი საქმე კარგად იციან. შესანიშნავი ახალგაზრდაა, მორიდებული და მშვიდი. ადრე, ახალგაზრდობისას დახატული ვყავარ მხატვრებს, ეს ჩემთვის პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ ეს პროექტი ძალიან კარგი ჩანაფიქრია. თუ ამას დავარქმევთ შემოქმედებით რიტუალს, საოცრად სასიამოვნო იყო, კარგი სანახაობა გადაიშალა მუშტაედში. ვტკბებოდი ამ ყველაფრით.

– მხატვარმა ერთ დღეში დაგხატათ?

– ერთ დღეში კი არა, რამდენიმე საათში დამხატა. ყველანაირად ვუჯერებდი, საოცრად ზუსტად დაიჭირა ჩემი ხასიათი და მართლაც კარგი ნახატი გამოვიდა. ესკიზიც მომწონს და დასრულებული ნახატიც, მხატვრებს სულ სხვანაირი ხედვა აქვთ. რომ ვუყურებ, ნამდვილად მე ვარ, ომარ მხეიძე! ძალიან კმაყოფილი ვარ! მადლობა ყველას, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღო.

ენების ევროპული დღე თბილისში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

ენების ევროპული დღე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში აღნიშნეს და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო. ღონისძიების ორგანიზატორი ევროკავშირის კულტურულ ინსტიტუციათა გაერთიანება იყო. მოსწავლე ახალგაზრდრობის სასახლეში გამართულ ღონისძიებაზე ცნობილი გახდა, რომ ენების ევროპული დღე თბილისში პირველად გაიმართა.

– ენების ევროპული დღე დაწესდა ევროსაბჭოს მიერ 2001 წელს, რათა აღენიშნა ევროპის კულტურული მრავალფეროვნება და მრავალენოვნება. ეს დღე ამჟამად მთელს მსოფლიოში აღინიშნება. თბილისში დაგეგმილი ღონისძიება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის საპატიო პატრონაჟით ჩატარდა და მას მხარს უჭერდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა. ერთდღიანი ღონისძიება 7-14 წლის ასაკის ბავშვებისთვის გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, რომელიც მოიცავდა ოფიციალურ გახსნას, ოფიციალური პირებისა და ევროპული ქვეყნების ელჩების მისალმებას, ენების მინი-სახელოსნოების, მათ შორის ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის, იტალიური, ლიტვური, პოლონურის, ბერძნულის, რუმინულის წარმოდგენას, კონკურსს „ენების პასპორტი“, აკუსტიკურ კონცერტს მერაბ ნუცუბიძის შესრულებით, ზღაპრის სახელოსნოების – საერთაშორისო თეატრალური დასის „გალი თეატრეს“ წარმოდგენას, კოქტეილს, საზეიმო დახურვასა და კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოებას, – განაცხადა ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელმა მარიამ კვესელავამ.

როგორც ფრანგული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ჟილ კარასომ აღნიშნა, „ენების ევროპული დღე“ არის ღონისძიება, რომელიც ევროპის საბჭოს ინიციატივით შეიქმნა უკვე 12 წელიწადია. მისი მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს მრავალი ენის ცოდნის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რომლებითვისაც ენების ცოდნა პროფესიული განვითარების მეტ საშუალებას აძლევდა. ენების ევროპული დღე მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში იმართება და მას პოლიტიკური მიზანიც აქვს: ყველა ენას, მიუხედავად ამ ენებზე მოსაუბრეთა რიცხოვნებისა, ერთნაირი მნიშვნელობა აქვს.

– ენების ევროპული დღის აღნიშვნაში საერთაშორისო გალი-თეატრი მონაწილეობდა. გერმანელი მსახიობების დასმა ქართველ მოზარდებს სბავშვო დადგმები ინგლისურად, გერმანულად და ფრანგულად წარმოუდგინა. ამის გარდა, ჩატარდა ინტერაქტიული შოუ, სადაც ბავშვები სცენაზე ავიდნენ და შოუში მონაწილეობა მიიღეს. „გალი თეატრი“ ძალიან საინტერესო პროექტია, რადგან თეატრი ცდილობს სოციალურ პროცესებში ჩაერთოს. ერთი მხრივ, ისინი იმპროვიზაციის თეატრს წარმოადგენენ, მეორე მხრივ, ძალიან საინტერესოა მათი მუშაობა მენეჯმენტის კუთხით – სხვადასხვა დაწესებულებებს მენეჯმენტის გამართვაში ეხმარებიან. პირველყოვლისა, ისინი ჩართული არიან საგანმანათლებლო პროცესში, – აღნიშნა გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა შტეფან ვაკვიცმა.

ძმები გრიმების 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მიუნხენის „გალი თეატრმა“ გოეთეს ინსტიტუტთან ერთად საქართველოს მასშტაბით ტურნეს დაგეგმა. გადაწყდა, სპექტაკლების, ინტერაქტიული შოუებისა და სემინარების გამართვა. პირველი ჩვენება დაიგეგმა ქუთაისში, სადაც „ალადინის“ გათამაშება გადაწყდა, ინტერაქტიულ შოუდ კი „ჩექმებიანი კატა“ შეირჩა. მიუნხენის თეატრი ზუგდიდის სახელმწიფო თეატრსაც ესტუმრა და სპექტაკლი „ალადინი“, ხოლო ინტერაქტიულ შოუდ „წითელქუდა“ წარმოადგინა. თბილისში სამეფო უბნის თეატრში კი სპექტაკლი „ფიფქია“ გათამაშდა.

ბრიტანეთის საბჭოს დირექტორის, ზაზა ფურცელძის თქმით, რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, ყველა მსურველს შეეძლო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა.

– მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეგოთ უფრო მეტი ევროპული ენების შესახებ. ამ დღის აღნიშვნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც პლურილინგუალიზმი, ანუ მრავალი ენის ფლობა, არის ძალიან დიდი მნიშვნელობის. როცა ენა არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება კულტურათა შორის დიალოგისა, – განმარტა ზაზა ფურცელაძემ.

ერთდღიან ღონისძიებაზე ჩატარდა კონკურსი „ენების პასპორტი“, აკუსტიკური კონცერტი მერაბ ნუცუბიძის მონაწილეობით, მოეწყო „ენების სახელოსნოები“, რომლებიც გულისხმობდა ინგლისურ, ფრანგულ, რუმინულ, ლიტვურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ, ბერძნულ ენებზე შექმნილი ანიმაციების ჩვენებას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო მიზნები ჰქონდა.

სჯანგოხდი



1. ქრისტეფორე ...; 2. ცხოველთა მეფე; 3. პროსპერ ...; 4. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 5. მდინარე რუსეთში; 6. შლამის თევზი; 7. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი; 8. თავად-აზნაურთა წოდება ინგლისში; 9. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; 10. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 12. მგალობელი ჩიტი; 13. ვირტუოზული საფორტეპიანო პიესა; 14. მიცემითი ბრუნვა (გრამ.); 15. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 16. ... დე გოლი; 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. ბუნებრივი საღებავი; 19. სასიგნალო ტივტივა; 20. ცხენის კუდის ბეწვი; 21. ცდის გარეშე; 22. მაღალი წიწვოვანი ხე; 23. „კვირის ...; 24. საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდება; 25. „ბერძენი ...; 26. ვისიმე პირისპირ მყოფი; 27. ფულის მიღება მრწმუნებლის დავალებით და სათანადო დოკუმენტების წარდგენით; 28. არქიტექტურული სტილი; 29. სანელებელი; 30. ჰომეროსის პოემა; 31. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 32. პატარა ლირიკული საოპერო არია; 33. ... კლინტონი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

პროსვორდი ა

შვეულად: 1. კოპაკაბანა; 2. სქოლიო; 3. კურორტი; 4. ჩორთი; 5. ჰიროსიმა; 6. ქერჩი; 7. რელიგია; 9. დინარი; 13. დასტა; 17. რადა; 18. ბოა.

თარაზულად: 1. კომპასი; 3. კუბაჩი; 8. ჰიმენე; 10. პლუტონი; 11. აკინი; 12. ფიურსტი; 14. აბორტი; 15. ორიგამი; 16. „მარკა“; 19. კატარი; 20. კალორია; 21. ხაბაზი.

პროსვორდი ბ

შვეულად: 1. იედო; 2. ოლე; 3. ალარმისტი; 4. ჰიჯრა; 5. ნიაგარა; 8. ბუკე; 9. დიურერი; 10. გენეტიკა; 12. მცხეთა; 13. ნეონი; 15. შაორი.

თარაზულად: 1. ინტალიო; 6. პლევრიტი; 7. „დუკლა“; 10. გურია; 11. აკინი; 13. ნურიე; 14. კოშმა; 16. ევრო; 17. იქთიოლი; 18. პამირი.

პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, აშშ ვალდებულებების შესრულებას მთელ მსოფლიოში გააგრძელებს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ აშშ-ს საბიუჯეტო კრიზისი, მსოფლიო არენაზე აშშ-ს ეკონომიკურ, სამხედრო და დიპლომატიურ ძალას ვერ შეასუსტებს.

„მივმართავ ყველა ჩვენ მეგობარსა და მტერს: არ მიანიჭოთ ამ დროებით ეპიზოდს ამერიკულ პოლიტიკაში იმაზე მეტი ან ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე პოლიტიკური მომენტია“, – დასძენს კერი.

შეგახსენებთ, რომ ობამამ ინდონეზიაში მიმდინარე სამიტზე ვიზიტი გააუქმა. მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემებია.

როგორც რუსული მედია იუწყება, აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ინდონეზიაში დაგეგმილი შეხვედრა აღარ გაიმართება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულის მიზეზად აშშ-ში შექმნილი საბიუჯეტო კრიზისი ასახელებს.

პრეზიდენტების ნაცვლად ერთმანეთს, კუნძულ ბალიზე, საგარეო უწყების ხელმძღვანელები შეხვდებიან. შეხვედრა „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის“ ორგანიზაციის სამიტის ფარგლებში გაიმართება.

შეერთებული შტატებში სამთავრობო კრიზისის მეოთხე დღეს რესპუბლიკელების ლიდერს წარმომადგენელთა პალატაში საკმაოდ მწვავე გამოსვლა ჰქონდა. ის ცდილობდა თავის განცხადებებით შორს ყოფილიყო მისი ძველი გამოსვლებისგან, როდესაც საკუთარი პარტიის წევრებს არწმუნებდა იმაში, რომ ქვეყანას დეფოლტის საშიშროება არ დაემუქრებოდა. ამის ფონზე პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი სენდვიჩების მაღაზიას სტუმრობდნენ, რომლებიც საკვებს ფასდაკლებით იმ ადამიანებზე ყიდიან, რომლებიც სამთავრობო კრიზისის გამო დროებით, იძულებით შვებულებაში გაუშვეს. „ამერიკის ხმის“ კონგრესის კორესპონდენტი სინდი სეინი მოგვითხრობს.

ქვეყნის მასშტაბით სამთავრობო კრიზისის გამო ფედერალური სამსახურების 800 000-ზე მეტი თანამშრომელი იძულებით შვებულებაში უკვე გაუშვეს. ისინი კი, ვინც სამსახურებში დარჩნენ ხელფასს დაგვიანებით მიიღებენ. პრეზიდენტი ბარაკ ობამა თეთრ სახლთან მდებარე სენდვიჩების მაღაზიას ესტუმრა.

ბარაკ ობამა: ეს მაღაზია ათპროცენტიანი ფასდაკლებით ემსახურება იმ ადამიანებს, რომლებიც ფედერალური სამსახურებიდან დროებით შვებულებაში გაუშვეს. მაღაზიის გამყიდველმა დაამატა რომ კლიენტებს უფასო ორცხობილითაც უმასპინძლდებოდნენ.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მაღაზიიდან კიდევ ერთხელ გაიმეორა თავის მოწოდება წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელ წევრთა მისამართით, რომ კენჭისყრაზე გაიტანონ ბიუჯეტის პროექტი. მან ასევე თქვა

ისიც, რომ მოხარული იქნება, თუ რესპუბლიკელებთან ამ საკითხზე მოლაპარაკება გაგრძელდება, მაგრამ ეს პროცესი დროში არ უნდა გაიწელოს.

კაპიტოლიუმის გარეთ, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები პროფკავშირების წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებიც აპროტესტებდნენ რესპუბლიკელების ნაბიჯს, რომლებმაც სამთავრობო დაფინანსების საკითხი დაბლოკეს. კონგრესის ჯგუფის შავკანიანმა ლიდერმა მარსია ფაჯიმ რესპუბლიკელთა ლიდერს ჯო ბეინერს მიმართა.

მარსია ფარჯი: რისი გეშინიათ ბატონო ბეინერო? რატომ არ შეეცდებით საკითხი მოაგვაროთ წარმომადგენელთა პალატის კედლებში. აცნობიერებთ თუ არა იმას, რომთქვენ მთლიანად წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ბრძანდებით?

ხუთშაბათს წარმომადგენელთა პალატის წევრებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრიდან გამოსული რესპუბლიკური პარტიის ლიდერები კვლავ იმეორებდნენ თავიანთ განცხადებას იმის შესახებ, რომ ჯანდაცვის საყოველთაო სადაზღვევო პროექტი ამერიკელებისთვის სარგებლის მომტანი არ იქნება და ის უნდა შეიცვალოს. რესპუბლიკელების სპიკერმა ჯონ ბეინერმა ამ თემაზე კომენტარი გააკეთა:

ჯონ ბეინერი: ეს რაღაც თამაში არ არის. არც ამერიკელ ხალხს სურს ის, რომ მთავრობას უფლებები ჰქონდეს შეზღუდული და არც ჩვენ ვართ ამის მომხრე. ჩვენმხოლოდ ვითხოვთ იმას, რომ დავსხდეთ, ვიმსჯელოთ და სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღოთ აღდგეს მთავრობის სრულფასოვანი მუშაობა და „ობამაქაარი“ ამერიკელებისთვის მისაღები პროგრამა იყოს.

რესპუბლიკელები ამბობენ, რომ მათი სურვილია რომ საყოველთაო ჯანდაცვის კანონმდებლობის ქვაკუთხედი შეცვალონ, სადაც საუბარია იმაზე, რომ ამერიკის თითოეული მოქალაქისთვის სავალდებულოა დაზღვევის შეძენა ან წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის გადახდა. მათი მტკიცებით, ეს ამერიკის მოქალაქეს პირად თავისუფლებას უზღუდავს. ამ კვირაში სამედიცინო დაზღვევა საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ შეცვალა – „ობამაქაარ“ უკვე ძალაში შევიდა, რის შემდეგაც მილიონობით ამერიკელმა სამთავრობო ვებ-გვერდს მიაკითხა და დაზღვევის მიღების მიზნით დარეგისტრირდა.

კონგრესს კიდევ ერთი კრიზისი ელოდება წინ. ამერიკის ხაზინის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ფულადი ერთეულის დეფიციტი ელოდებათ, და ამიტომ საჭიროა რომ სამთავრობო ხარჯების გადავადების საკითხი 17 ოქტომბრამდე გადაიჭრას. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი კანონმდებლები ახლა გეგმავენ, რომ ბიუჯეტის პროექტი და სამთავრობო ვალის ზღვარის საკითხი გააერთიანონ და ეგრეთ წოდებული „დიდი გარიგება“ დადონ, რომელშიც ასევე შევა საგადასახადო რეფორმა და ხარჯების შემცირების პროექტიც.

პარასკევს საინფორმაციო გამოშვებებში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ბეინერმა მის კონგრესმენ მხარდამჭერებს განუცხადა, რომ ის არ დაუშვებს რომ ქვეყანა დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუნდაც დემოკრატების ხმები დასჭირდეთ იმისათვის, რომ ვალის ზღვრის გაზრდა შეაჩერონ. თუმცა უკვე პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, ჩანდა რომ ის ამ მოსაზრებას უკვე აღარ ემხრობოდა.

ჯონ ბეინერი: არ ვფიქრობ, რომ არსებული დავალიანების გამო დეფოლტი გამოვაცხადოთ. ეს ქვეყნისთვის სასარგებლო არ იქნება. თუმცა იმის გამო რომ 55 წლისგანმავლობაში ხარჯი იმაზე მეტი იყო, ვიდრე შემოსავალი დავალიანებაც დაგროვდებოდა.

ამ დროისთვის კაპიტოლიუმში შეთანხმების ფონი ოდნავ გამოიკვეთა. ფედერალური სამსახურის თანამშრომლებს კი მართალია იძულებითი, თუმცა მაინც შვებულების საშუალება მიეცათ.

სამგლოვიარო განცხადებები

კობა ქობალიას გახსენება

„თე ქიანას რინა მოკოდ,
მარა ქარწყეთ ჭიჭე ბძირი,
ქირქეს გინოლაფირ ვორექ,
ცხოვრებაშე გური ჭვილი...“

შენი ტრაგიკული გარდაცვალებიდან 5 წელი ხდება 7 ოქტომბერს, შენი ხმისა და სიცილის, თბილი თვალებისა და მზერის გარეშე. შენი გულდათუთქული დედა, დები, სიძე, დისშვილები, დეიდები, ახლო ნათესავები კვლავაც მოვალთ შენს საფლავთან, ცრემლით დაგინამავთ საფლავს და ვილოცებთ შენი სულისთვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, სითბოსა და სიკეთისთვის დაბადებულო ძმაო, **„კობა!“**

მარინე, ნუციკო, ნინო, გურამ, მერაბ, დავით, ირაკლი, მერაბ ტატიშვილები ოჯახებით, ქეთი ანჯაფარიძე, ელენე მერცალოვა დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, უკეთილშობილესი პიროვნება, მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი და სასიქადულო მამული შვილი

ზურაბ ოთარის ძე ტატიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 7 ოქტომბერს, 18 საათზე, არაყიშვილის 13-ში.

გამოსვენება: ვერის ძველი სასაფლაოს წმინდა პანტელეიმონის ტაძრიდან, 8 ოქტომბერს, 14 საათზე.

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება იმის გამო, რომ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში ტრაგიკულად დაიღუპა სიკეთით, პატიოსნებითა და ღირსეული მოქალაქეობით გამორჩეული ახალგაზრდა კაცი, ოთხი არაჩვეულებრივი შვილის მამა

ბესიკ (სიკვა) ადონია

გულითადად ვიზიარებთ კირცხელების მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ დედას, ქალბატონ ასმათ ხუნჯუას, მეუღლეს, ქალბატონ მზია კიკვილაშვილს, შვილებს: მარიამ, სალომე, გიორგი და ლუკა ადონიებს, და-ძმას – ბეჟან და ჯულიეტა ადონიებს.

უფალმა ნათელში ამყოფოს ბესიკის სული და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

გულწრფელად ვითხოვთ შენდობას იმის გამო, რომ ვერ ვესწრებით დაკრძალვას.

მაკა სახურია, ელზა სახურია, ბიძინა გუჯაბიძე, ვაჟა ხორავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სირიაში ქიმიური არსენალის განადგურების პროცესი დაიწყო

სირიაში ქიმიური არსენალის ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო, რომელსაც ქიმიური იარაღის ამკრძალავი კომისიის ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი განახორციელებს. ამის შესახებ „როიტერი“ აღნიშნულ კომისიაში სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება.

33 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი სირიაში გასულ კვირას ჩავიდა, მათ შორის არიან რუსეთის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხეთის, უზბეკეთის, ჩინეთის, კანადის, ნიდერლანდებისა და ტუნისის მოქალაქეები. აქედან 19 წევრი ქიმიური იარაღის ამკრძალავი კომისიის წევრია, დანარჩენი გაეროს თანამშრომლები არიან.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის ზეწოლისა და შეერთებული შტატების სამხედრო მუქარის შედეგად, სირია დათანხმდა ვაშინგტონის და მოსკოვის მიერ მიღწეულ შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს ნოემბერში საერთაშორისო ექსპერტების მიერ ადგილზე პირველადი ინსპექციის დასრულებას, ხოლო შემდეგი წლის პირველ ნახევარში სირიის მთელი ქიმიური იარაღის მასალების და მოწყობილობის განადგურებას.

რა შემთხვევაში შეუმსუბუქდება სანქციები ირანს

ირანზე დაწესებული საერთაშორისო სანქციების ნაწილი შესაძლოა გაუქმდეს. ეს იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუკი ირანი ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებით შემხვედრ, კონსტრუქციულ ნაბიჯებს გადადგამს. მანამდე კი, სანქციებთან დაკავშირებით მიღებული ფუნდამენტური გადაწყვეტილებები ძალაში რჩება. განცხადებას ამასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკის საკითხებში, ვენდი შერმანი აკეთებს.

„24 ქვეყნის ეკონომიკა გაერთიანდა იმისთვის, რომ ირანისგან გადაუმუშავებელი საწვავის შესყიდვა შეჩერდეს. ბოლო 24 თვის მანძილზე ირანს საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა 60 პროცენტით შეუმცირდა“, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა სენატში გამოსვლისას. მან ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა თეირანი აიძულა მოლაპარაკების მაგიდასთან დამჯდარიყო.

– თუ ირანმა ბირთვული იარაღი მიიღო – ეს რეჟიმი უკვდავი გახდება, – განცხადება ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ გააკეთა და აღნიშნა, რომ ირანი უკეთესი მთავრობის ღირსია, ხოლო ხელისუფლების მიერ ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდების შემდეგ მისი მოქალაქეების მდგომარეობა შესაძლოა გაუარესდეს.

„თუ ისინი მიიღებენ ბირთვულ იარაღს ეს სასტიკი რეჟიმი უკვდავი გახდება, როგორ ჩრდილოეთ კორეა“, – განაცხადა ნეთანიაჰუმ.

მისივე თქმით, ირაბის ახლადარჩეული პრეზიდენტი ჰასან როუჰანი აიათოლლა ალი ჰამენეის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ ახდენს.

ნეთანიაჰუ მიიჩნევს, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს.

„თუ მათ „მშვიდობიანი ატომი“ სურთ ამისათვის ურანის გამდიდრება სულაც არ არის საჭირო. ეს ტექნოლოგია კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია აუცილებელი თუკი თქვენ იარაღის გაკეთება გინდათ“, – აცხადებს ისრაელის პრემიერი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოხშაბათი
7 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ. მხ.ფ **"ნილბის შვილი"** **12.40** მხ.ფ **"დრომგე და ვაჟი"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **00.20** მხ.ფ **"პაჯი მურატი – ფილმი" რომელიც არ დაიდგა"**

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "გერმანია" **08.30** მხ/ფ **"ბრიზლის ჩანჩქერი"** **10.15** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "საფრანგეთი" **10.45** მხ/ფ **"მეხისმტყორცნელი და ვინეტუ"**) **12.30** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "დიდი ბრიტანეთი" **13.00** მხ/ფ **"სანლი ტბის პირას"** (ს. ბალოკი) **15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" - პ/პ "თავისუფალი დემოკრატები" (პ/ე) **20.00** "მოამბე (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **16** სერ. **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY - სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ **"უკანასკნელი სიმღერა"** (კ. პრესტონი) პრემიერა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.20** მხ/ფ **"ვალსი პეჩორაზე"**. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** **13.10** ქართული მულტფილმი **13.30** დოკ/ფ "სვანეთი - ცოცხალი მითი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.35** სპექტაკლი - **"გუშინდელნი"** **17.05** კონცერტი - საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ჭიდაობას რა უნდა"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "შორ ვართ" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. III **23.40** მოკ/ფ **"კედელი"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"**

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15** სერიალი "ღრუბლებს მიღმა" (გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **16.00 სერიალი "რთული გზა"** **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 1,6620	ევრო — 2,2590
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6677	100 რუსული რუბლი — 5,1775

ამინდის პროგნოზი 7 ოქტომბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი

ტომი 2 ..... შავი ვარდი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები



მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა

20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები

27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები

ახალგაზრდა მხატვრებმა ცნობილი ქართველები დახატეს

ეკა ირემაშვილი

11-მა ახალგაზრდა მხატვარმა ის ცნობილი ქართველები დახატეს, რომლებმაც თავისი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვეს ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში. მხატვრების ნამუშევრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამოფინეს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნა მხატვრების მიერ შესრულებული ცნობილ ქართველ ადამიანთა პორტრეტები, მათ შორის ჭაბუა ამირეჯიბის, რეზო ჩხეიძის, კახი კავსაძის, გურამ დოჩანაშვილის,

ვაჟა აზარაშვილის, ზურა ყიფშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ერეკლე საღლიანის, ქეთი მატაბელის, ელგუჯა ბურდულის, ზურაბ წერეთლის, ნინო ანანიაშვილის, თემურ წიკლაურის, ომარ მხეიძის, ჯემალ კუხალაშვილის, გივი თოიძის, პაატა ბურჭულაძის, ამირან შალიკაშვილის, ირმა სოხაძის, მაყვალა გონაშვილის, თენგიზ უთმელიძის, ანზორ ერქომაიშვილის პორტრეტები. ნახატების გარდა, ხელოვნების მუზეუმში ქანდაკებაც იქნა გამოფენილი. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ახალგაზრდა რეჟისორის სალომე გონაშვილის ფილმის ,,ხელოვნების ენა“ ჩვენება.

სპეციალურად ამ ექსპოზიციისთვის გამოიცა კატალოგი, რომელშიც ყველა ახალგაზრდა მხატვრის მონაცემები და მათ მიერ შესრულებული ცნობილი ადამიანების ნამუშევრებია გაერთიანებული. ნახატებთან ერთად, კრებულში წარმოდგენილია ფოტოები, თბილისის თემაზე შექმნილი ნამუშევრები და ყველა მონაწილე მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ინფორმაცია.

11 ახალგაზრდა მხატვარს შორის სამი ხელოვანი ცნობილი ქართველი მხატვრის ჯემალ კუხალაშვილის შვილები არიან – გიორგი, ლაშა და კახა. ასევე პროექტში ჩართული იყვნენ მხატვრები ვანო კეზუა, თინათინ ბახტაძე, გია ბიბილეიშვილი, გიორგი ელბაქიძე, გიორგი დვალი, გიორგი გორდამაშვილი, ბექა თაბუკაშვილი, მოქანდაკე ნიკოლო მელივა. კატალოგი გაფორმებულია ფოტოებით, ჩანახატებით, ლექსებით, ამავე წიგნში ახალგაზრდა რეჟისორის სალომე გონაშვილის მონაცემებიც არის ასახული.

პროექტის ავტორი გიორგი კუხალაშვილია, მასთან ერთად 10-მა ახალგაზრდა მხატვარმა ცნობილი ქართველი ხელოვანების და საზოგადო მოღვაწეების დახატვა მოისურვა. პროექტი ორგანიზაციებმა „ხელოვნების ენა“ და „ხელოვნების ქალაქი“ მოაწყეს. „არტისტი“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელმაც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები გააერთიანა.

გიორგი კუხალაშვილი, პროექტის ორგანიზატორი:

– რა ღამაზი განწყობებია, ოქროსფერი ფოთლები, მწვანე ბალახი, მზით გაჟღენთილი ჰაერი, თეთრი ქუნქულა ღრუბლები, ეს პატარა დაძველებული ქუჩა, გაცრეცილი სახლები და ბორიალა ფიცრები, ისიც მათ შორის მოდის, ვიწრო ქუჩას მიყვება დინჯად, საკუთარი მეობის ხიბლით გაამაყებული და საოცრად თბილი. ვცდილობ, შორი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლევან წულაძე ჩუღურეთის საპატიო მოქალაქეა

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი ლევან წულაძე ჩუღურეთის რაიონის საპატიო მოქალაქეა. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, 2013 წლის ჩუღურეთის საპატიო მოქალაქის წოდება ჩუღურეთის რაიონის მკვიდრს რეჟისორ ლევან წულაძეს მიენიჭა, რომელიც კარგარეთელის ქუჩაზე ცხორობს.

ლევან წულაძისთვის ჩუღურეთის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების გადაწყვეტილება გამგეობამ „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღო და რეჟისორი მარჯანიშვილის თეატრის „ახალ სცენასთან“ დააჯილდოვა. მას სპეციალური სიგელი გადაეცა, რომელიც მოწმობს, რომ რეჟისორი ჩუღურეთის რაიონის საპატიო მოქალაქეა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას რაიონის ადგილობრივი მოსახლეობა, გამგეობისა და თეატრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

როგორც რეჟისორმა განაცხადა, მისთვის ამ საპატიო წოდების მინიჭება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

– ნამდვილად არ ველოდი, ასეთ საჩუქარს თუ გამიკეთებდნენ, როცა შევიტყვე, ვიფიქრე, ალბათ უბრალოდ მომცემენ სიგელს და მორჩება-მეთქი, მაგრამ რაიონის გამგეობამ ამ ყველაფერს ზეიმის ელფერი მისცა, ჩემს დაჯილდოებას ხალხი დაესწრო. მადლობა ყველას, ვინც ამ ჯილდოს ღირსად ჩამთვალა, – განაცხადა ლევან წულაძემ.

თბილისის ვიცე-მერის, სევდია უგრეხელიძის თქმით, ლევან წულაძე არის ის ხელოვანი, ვისი შემოქმედებაც ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, მის მიერ დადგმული სპექტაკლები მაყურებელში პოპულარულია, მისი იუმორი კი – საქვეყნოდ ცნობილი.

ლევან წულაძე ამჟამად მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელია. მუშაობდა რუსთაველის თეატრში, თეატრალურ სარდაფში კი მისი, როგორც წარმატებული რეჟისორის ჩამოყალიბება მოხდა. უკვე რამდენიმე წელია, ლევან წულაძე აქტიურად მუშაობს მარჯანიშვილის თეატრში. წინა თეატრალური სეზონის დახურვამდე კი რეჟისორმა თანამოაზრეებთან ერთად ახალი თეატრი გახსნა, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრის „ახალი ცენა“ უწოდა.

ამ ეტაპზე რეჟისორი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრშია მიწვეული, სადაც შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ დგამს. აქტიური რეპეტიციები უკვე დაწყებულია, პრემიერას კი შემოქმედებითი ჯგუფი მომავალი წლის დასაწყისში ითამაშებს.

საქართველოს დამბომბავი რუსეთში ჩირაღდნით დარბის

2008 წლის აგვისტოს ომში ივან ნეჩაევი „სუ 25“-ით საბრძოლო დავალებს ასრულებდა. ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს მის მოიერიშეს ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა მოხვდა. რუსულ წყაროებში აღნიშნულია, რომ მფრინავმა გადაწყვიტა, არ დაწყო კატაპულტირება, მთისთვის გადაეფრინა და დაზიანებული თვითმფრინავი აეროდრომზე დაესვა, რაც მოახერხა კიდეც. მოგვიანებით მას „რუსეთის გმირის“ წოდება მიენიჭა.

სწორედ ეს პიროვნება, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უმოწყალოდ ბომბავდა საქართველოს ტერიტორიას, სოჭის ოლიმპიადის ჩირაღდნის ერთ-ერთი პირველი მატარებელი გახდა. როგორც ცნობილია, ჩირაღდანმა ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანაში უნდა იმოგზაუროს, რისი დაწყების „პატივიც“ ნეჩაევს ერგო.

ქართული დელეგაცია კი ამ ჩირაღდნის ქვეშ აპირებს ოლიმპიადაში მონაწილეობას, თანაც იმ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა და რუსებმა გამოძალვით მისაკუთრეს.

არადა, პოლიტიკური მოტივებით, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა დასავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფომ, მათ შორის აშშ-მ, კანადამ, იაპონიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ... სულ 65-მა ქვეყანამ. ოთხი წლის შემდეგ, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადას, ასევე პოლიტიკური მოტივებით, ბოიკოტი უკვე ე.წ. სოცბანაკის ქვეყნებმა გამოუცხადეს, მათ შორის – სსრ კავშირმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ბულგარეთმა და სხვებმა, სულ – 15-მა ქვეყანამ. სეულის ოლიმპიადაზე, კვლავ პოლიტიკური მოტივით, არ ჩასულან ჩრდილოეთ კორეის, კუბის და ეთიოპიის დელეგაციები. უფრო ადრე, 1956 წელს უნგრეთში საბჭოთა ჯარების შეჭრა გააპროტესტა არაერთმა ქვეყანამ, ამ მოტივით კი მელბურნის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ჰოლანდიის და ესპანეთის დელეგაციებმა. სხვადასხვა ფორმისა და მასშტაბის საპროტესტო გამოსვლები და ცალკეული ქვეყნების ბოიკოტი თან სდევდა თითქმის ყველა ოლიმპიურ თამაშს, მათ შორის, პეკინში გამართულ ზაფხულის ოლიმპიადას.

გვიღირს კი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება?

მ. ჟ.



ჯოსვოიდი

თარაზულად: 1. „გველის...“; 3. იგივეა, რაც ლითონი; 9. ბავშვის სასრიალო მარხილი; 14. სხვაზე დახარჯული შრომა; 15. რამაზ ჩხიკვაძის სცენური როლი; 17. მდინარე რუსეთში; 20. ვაშა! (იაპონურად); 22. საწვავი სითხე; 23. ქეთოს მამა (ცნობილი ფილმიდან) 25. სამეტყველო ორგანო; 26. თითბრის ჩასაბერი საკრავი; 27. დამხმარე თეორემა; 28. სახალხო რაზმის წევრი, რომელიც მტრის ზურგში იბრძვის.

შვეულად: 1. იტალიური ღვეზელი; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. გეოგრაფიული რუკის მახასიათებელი სიდიდე; 4. ვივიენ ...; 5. სტადიონი ბრაზილიაში; 6. ვულკანიდან ამონთხეული მასა; 7. ბიზეს ოპერა; 10. საზღვაო ტრანსპორტი; 11. გრძელი ქურთუკი, რომელსაც ცხენზე ჯდომის დროს იცვამდნენ; 12. სარფიანი თანამდებობა, „თბილი ადგილი“; 13. განსჯის პროდუქტი; 16. მიჯნა, საზღვარი; 18. ლირიკული პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 19. იგივეა, რაც ტაროსი; 21. პატარა სწრაფმავალი მზვერავი გემი; 24. ინდოეთის ფულის ერთეული.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ასტროპროგნოზი 7 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
ჰარმონიული დღეა

ვერძი – თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად იქნება. ** კურო** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, ფულიც გექნებათ. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** – ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **სასწორი** – დარჩით საკუთარ აზრზე, სხვებს ნუ დაუჯერებთ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **მშვილდოსანი** – გაუგებრობას მალე დააღწევთ თავს. **თხის რქა** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მერწყული** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **თევზები** – უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდებით, მაგრამ გამოსავალს იპოვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!